☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - ------------------

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისად, რაც მტკიცდება დანართი N13-ით, დოკუმენტში სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა, მართვა და ფუნქციები, სადაც გაწერილია მმართველობითი რგოლი, სამუშაო პროცესი, ფუნქციები, მოვალეობები და სტატუსის შეწყვეტის პირობები. სკოლას წარმოდგენილი აქვს„ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი"-დანართი N14, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი ბრძ.N10 2023 წლის 2 მარტი, რომლითაც დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დებულება, რომელიც დენინგის ციკლის შესაბამისად განსაზღვრავს სკოლის ხარისხის განვითარების ციკლს. ამავე ბრძანებით განსაზღვრულია ხარისის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. სკოლის მართვის დოკუმენტით განსაზღვრავს თითოეული სტრუქტურული რგოლის მუშაობის პრინციპებსა და ფუნქცია მოვალეობებს სკოლის მიზანმიმართული განვითარებისთვის. **ინდიკატორი მოთხოვნის შესაბამისია**
2. სკოლას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც გაწერილია დანართ N13-ში სკოლის დებულება, რაც განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურას, მართვასა და ფუნქციებს, „ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი"-დანართი N14, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი ბრძ.N10 2023 წლის 2 მარტი, რომლითაც დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

გაუმჯობესების მექანიზმის დებულება, რომელიც დენინგის ციკლის შესაბამისად განსაზღვრავს სკოლის ხარისხის განვითარების ციკლს ამავე ბრძანებით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ფუნქციები ასევე გაწერილია შინაგანაწესსა(დანართიN5) და ხელშეკრულებებში (დანართი N12).

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. სკოლას შინაგანაწესში (დანართი 5), სკოლის მართვის დოკუმენტში (დანართიN13- მუხლი.12 სააპელაციო კომიტეტი, მუხლი13 მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა საჩივრების განხილვა) წარმოდგენილი აქვს მტკიცებულებად საჩივრების განხილვის სისტემა, შემუშავებულია უფლებების დაცვის მექანიზმები(დანართი N18 უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა),სადაც გაწერილია მოსწავლეების, მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცესი. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. სკოლაში დაცულია ყველას უფლებები და არის ღია და მიმღებლობითი სივრცე, სკოლის მმართველობითი რგოლი თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპით ცდილობს დაამკვიდროს დემოკრატიული გარემო, სკოლის პერსონალსა და მშობლებს შეუძლიათ მათი პრეტენზიები თუ შენიშვნები გამოთქვან საჯაროდ სოციალური ქსელის საშუალებით, მათი უფლებები გაწერილია შინაგანაწესში და მოქმედებს კანონის შესაბამისად, ცალკე დოკუმენტად აქვს წარმოდგენილი დაწესებულებას პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები დანართ N18-ში, სადაც გაწერილია სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა. შესაბამისად ვთვლით, რომ **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - ------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N5 შინაგანაწესი*
- *დანართი N18 „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“*
- *სკოლის სტრუქტურა*
- *დანართი N13 სკოლის მართვა (დებულება)*
- *დანართი N11ხარისხის გაუმჯობესება*
- *დანართიN14 ადამიანური რესურების პროფესიული განვითარების მექანიზმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აღწერს, რომ შემუშავებული აქვს მექანიზმი სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, კონკრეტულად მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა, რაც დასტურდება დანართი N11 ,სკოლის ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.ამ დოკუმენტში აღწერილია, რომ სკოლა ადგენს ანონიმურ გამოკითხვის ფორმებს და ატარებს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, სასწავლო პროგრამების განხორციელების ხარისხის, პედაგოგიური უნარ-ჩვევების, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შემოწმებისა და რეალურად მიმდინარე და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების პროცესების შესახებ უკუკავშირის მიღების შემდეგ, სკოლა ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, რაც გაწერილია ამ დოკუმენტში. **ინდიკატორი შესაბამისია მოთხოვნებთან.**

2. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითა და დოკუმენტების გაცნობით დასტურდება, რომ ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. სამეურვეო საბჭოში ჰყავთ მათ წარმომადგენლები და ასევე მშობლები ჩართულნი არიან დამრიგებლებთან კომუნიკაციის საშუალებით., დაწესებულებას გაწერილი აქვს მშობელთან კომუნიკაციის განრიგი(დანართი 7 „მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგიებისა და შეხვედრების განრიგის დამტკიცების შესახებ“, რომელიც გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და ასევე სოციალურ ქსელში-მშობელთა ჯგუფებში, დანართი N4-ში მოცემულია საკითხი დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წევრობის კანდიდატის არჩევა, აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართვას მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი N4 დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წევრობის კანდიდატის არჩევა*

*განრიგი(დანართი 7 „მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგიებისა და შეხვედრების განრიგის დამტკიცების შესახებ“*

*დანართი N28 სამეურვეო საბჭოს N6 ოქმი*

*დანართი N29 ხელშეკრულება მშობელთან*

*დანართიN11 ხარისხის გაუმჯობესება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – -------------------

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა-დებულება (დანართი N18), სადაც ჩამოყალიბებულია დებულების მიზნები და პრინციპები, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები, ,,უსაფრთხო სკოლის" მთავარი მიზანია სკოლის უსაფრთხო გარემოს განმტკიცებით ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა. კერძოდ , ყველა სახის დისკრიმინაცია -გენდერის , რასის, რელიგიის, ეთნიკური ან სხვა სტატუსისას; ამუშავდეს სისტემა ყველა სახის ძალადობის აღმოფხვრის პრევენციისთვის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები და საგანგებო შტაბის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით რეაგირება მოახდინოს დაუყოვნებლივ და შესაძლებლობის შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების/ლიკვიდაციის ღონისძიებები შეიმუშავოს და განახორციელოს. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა სკოლას *2022 წლის13 ოქტომბრის* ბრძანებით N81 გამოყოფილი ჰყავს სკოლის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელ პირებად სამი თანამშრომელი. მასწავლებლები მორიგეობენ სართულებზე (სკოლა 2 სართულიანია), სკოლას იცავს დარაჯი. სკოლას შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია თუ როგორ გაითვალოს რისკები და როგორ მოხდეს მოსწავლეთა და სხვა პერსონალის ინფორმაციული და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი(დანართი N22) საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია პანდემიის პირობებში სკოლის მიერ განახორციელებელი აქტივობები, ფუნქცია -მოვალეობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – -------------------

------------------------

საგანგებო სიტუაციების დროს( ხანძარი, მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა და ზოგადად სკოლის მდებარეობის შესაბამისად სხვადასხვა ბუნებრივი, თუ ხელოვნური პრობლემები) მოქმედების გეგმა სკოლას არ წარმოუდგენია. კერძოდ, ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც საკანონმდებლო რეგულაციებით უნდა შეთანხმდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანგებო სიტუაციების სააგენტოსთან.

სკოლამ წარმოადგინა A ტიპის ინსპექტირების ორგანო შპს ,,ქრიზოლიტი+" ს მიერ გაცემული ინსპექტირების ანგარიში/ ექსპერტის დასკვა ( შედეგინის თარიღი 17.11.2020) შპს ,,გაბ- ჯორჯიას" მიერ სკოლაში 2020 წელს ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. რეაბილიტირებულია მთლიანად შენობა,საპირფარეშოები,ელექტრო გაყვანილობა, საკლასო ოთახები, დერეფნები, გარე ტერიტორია, სკოლის შესასვლელში პანდუსი,დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა, მოწყობილია გარე სპორტული( არასტანდარტული მოედანი).

სკოლას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს არ ჰქონდა წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ);
სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული და შეთანხმებული კანონმდებლობის შესაბამისად საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან;
სკოლის ტერიტორია არ არის შემოღობილი, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეების დაცულ ტერიტორიაზე ყოფნას. სკოლას არ ჰყავს ექიმი (ერთობლივი ბრძანება N41 2022წ),ექიმის კაბინეტი სრულად აღწურვილი(ბრძანებისN41);

**არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განისაზღვრა ა)ერთწლიანი პერიოდი 2023 წლის 11 აგვისტოდან 2024 წლის 11 აგვისტომდე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების** მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

ბ)ერთწლიანი პერიოდი 28.06.2023- 28.06.2024 შესაბამისი აქტივობების უზრუნველსაყოფად, ასევე ჩართული პირები და შესაძლო რისკები შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად.
გ) სააგენტოსთან- 28.06-14.07( 13 დღე) 2023 პერიოდი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის დასამტკიცებლად და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შესათანხმებლად;
დ)ერთწლიანი პერიოდი16.06.2023- 16.08.2024წ.- სკოლის ტერიტორიის შემოსაღობად.,
ე) ექიმის ვაკანსიის შევსებისთვის პერიოდი 11.08-15.09.2023
.ვ)ექიმის კაბინეტის სრულად აღჭურვის უზრუნველყოფა- პერიოდი 16.08-15.09 2023

აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი

სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაიცვას ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანის, ექიმის კაბინეტის სრულად აღჭურვის, შენობის მდგრადობის მოკვლევის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულიდა კანონმდებლობის შესაბამისად საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმება, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – ------------------

2 სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სპეციფიკის შესაბამისად დოკუმენტი ,,სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრი წესწრიგის დაცვის წესი და პირობები'', რომელიც ეყრდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ დამტკიცებულ ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებს". აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლა წესრიგის დაცვის მიზნით, პრევენციისათვის პერიოდულად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის. სკოლაში არის 2 დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ჰყავს ,,სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრი წესწრიგის დაცვის წესი და პირობები''--სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფენ დარაჯები (შემდგომში უფლებამოსილი პირი) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები არიან სკოლის დირექცია და დარაჯები(შემდგომში უფლებამოსილი პირი) , უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა ყველა-ბრძანებით დამტკიცებულია სახანძრო უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირები( 3 პირი) , რომელიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე სახანძრო უსაფრთხოების დაცვას. სკოლის გარე პერიმეტრზე დგას სათვალთვალო კამერები. შიდა სივრცეში ვიდეოსამეთვალყურეო კამერები არ არის. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - ------------------

3. სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რასაც არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეებს, პედაგოგებს,ადმინისტრაციასა და დირექციას ერთმანეთთან აქვთ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც მათ საშუალებას აძლევთ, მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, წახალისებულია განსხვავებული აზრის პატივისცემა. მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრს. სკოლაში მიუკერძოებელი, სამართლიანი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად კომფორტული გარემოა ჩამოყალიბებული. დაცულია მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა კონფიდენციალობა. ინდიკატორი შესაბამისია.

4. წარმოდგენილი დოკუმენტებით (“სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა”) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. დოკუმენტში განსაზღვრულია სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე- 2 საჯარო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, ტერიტორია, სადაც ეს წესი ვრცელდება და ის პროცედურები, რომლებსაც სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის ახორციელებს.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო მასწავლებელთა თანხმობის ერთობლივი წერილი მათი ინფორმაციის გამოყენებაზე საქართველოს კანონის ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ “შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმის, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ბრძანება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგის შესახებ დოკუმენტაცია. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

მოწოდებული შესაბამისობის გეგმის მიხედვით 04.08.2023-.11.08.2023 პერიოდში სკოლის მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი მექანიზმები და მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მიერ2023წლის 11აგვისტოს ბრძანება N70 ით დამტკიცებული დოკუმენტი პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები. ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა, როგორც შესაბამისი.

6. სკოლას აქვს წვდომა და იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ( emis) მიწოდებულ ინტერნეტს,სკოლაში გამოიყენება ლიცენზირებული პროგრამები, სკოლას ჰყავს საქმის მწარმოებელი, ისტის მასწავლებელი.სკოლას აქვს სოციალური გვერდი,სადაც აქვეყნებს ღონისძიებების ფოტო და ვიდეო მასალას, მშობელთა თანხმობით.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – -------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – ------------------

7.სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, ფიზიკური უსაფრთხოების წესი, ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლაში არის მრჩეველთა საბჭო. სკოლა იყენებს სხვადასხვა გზით მიღებულ ინფორმაციას სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისთვის. სკოლას აქვს წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს რომ იგი ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებდეს მექანიზმების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დ ა ნ ა რ თ ი N 2 1 მ რ ჩ ე ვ ე ლ თ ა ს ა ბ ჭ ო ს შ ე ქ მ ნ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა*

*სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები;*

*დანართი შენობის ექსპლოატაციისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ(შესრულებულისამუშაოებისექსპერტიზის დასკვნა)*

*სკოლის უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. შინაგანაწესი.*

*ფიზიკური უსაფრთოების დაცვის მექანიზმები*
*ადგილზე ვიზიტი და ვიზუალური დათვალიერება.*

*იხ. დანართი N18 - უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი;*

*დანართი N22 - 2022 წლის 13 ოქტომბრის N81 ბრძანება საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა;*

*დანართი N23 - ბრძ.N 49, ბრძ.N52 უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისა და საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, ვიზიტის ფარგლებში დათვალიერების შედეგად და წარმოდგენილი დოკუმენტებით (საბიბლიოთეკო ფონდის ინვენტარიზაცია; მატერიალური აქტივების ინვენტარიზაცია) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. სკოლას აქვს გარე მოედანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, სკოლას აქვს შემუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი, დანართი N26 „კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა", დანართი N25 „ბიბლიოთეკის მუშაობის გეგმა". **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. შენობის შემოსასვლელში არის პანდუსი, პირველ სართულზე ადაპტირებული სველი წერტილი და მრავალფეროვანი შიდა სივრცეები. შენობა ორ სართულიანია. პანდუსით შესვლა სკოლის შენობაში შესაძლებელია პირველ სართულზე ( ეტლით მოსარგებლე მოსწავლე- ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუმცა მეორე სართულზე, სადაც არის კომპიუტერული ლაბორატორია,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – ------------------

ბიბლიოთეკა არ არის ხელმისაწვდომი შშმ პირისთვის( ასეთის არსებობის შემთხვევაში).**სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ინფრასტრუქტურის გამო სკოლა სრულყოფილად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.** მეორე სართულზე მდებარე კომპიუტერების ლაბორატორიასთან და ბიბლიოთეკასთან გადაადგილების შეფერხების მქონე პირისთვის დამოუკიდებლად წვდომა შეზღუდულია, არ არის მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტი/პანდუსი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს აქტივობები, მათ შორის შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია ინკლუზიური გარემოს სრულყოფილად მოწესრიგების მიზნით ( გადაადგილების შეფერხების მქონე პირისთვის მეორე სართულზე მდებარე კომპიუტერების ლაბორატორიასთან და ბიბლიოთეკასთან დამოუკიდებლად წვდომის უზრუნველყოფის მიზნით) , განსაზღვრული ჰყავს სკოლის მხრიდან პასუხისმგებელი პირები და სხვა ჩართული მხარეები. (დანართი3.5.1.3. წერილი ინფრასტრუქტურას). გაწერილია პერიოდი პრობლემის აღმოფხვისთვის 16.08.2023- 16.08.2024 ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფმა ინკლუზიური გარემოს სრულყოფილად მოწესრიგების მიზნით (გადაადგილების შეფერხების მქონე პირისთვის მეორე სართულზე მდებარე კომპიუტერების ლაბორატორიასთან და ბიბლიოთეკასთან დამოუკიდებლად წვდომის უზრუნველყოფის მიზნით) შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვა

4. ვიზიტის ფარგლებში სკოლის დათვალიერების შედეგად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, შიდა სივრცეში განთავსებულია მოსწავლეთა შემოქმედებითი ნამუშევრები, წარმატებული ღონისძიებებისა თუ პროექტების ამსახველი ფოტომასალა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია .

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები და უზრუნველყოფს ამ რესურსებით სარგებლობას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა დანართიN26 და დანართი N25 "ბიბლიოთეკით მუშაობის გეგმა", რითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსებით. **საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის განხორციელება ხდება ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებით. შიდა სპორტული დარბაზი არ აქვს. ზამთრის პერიოდში სპორტის გაკვეთილები მიმდინარეობს საკლასო ოთახებში ან სკოლაში არსებულ თავისუფალ ოთახში, თამაშობენ ჭადრაკს.**

სპორტის კურიკულუმის განხორციელება უზრუნველყოფილია. **ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია**

ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
***დანართი N25 „ბიბლიოთეკით მუშაობის გეგმა".***

*დანართი N26 „კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა"*

*შეფასება:*

*o გთხოვთ,ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი N26 „კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა“*

*დანართი N25 „ბიბლიოთეკის მუშაობის გეგმა“.*

## 3.6. საინფორმაციო რესურსები

### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არის გამართული და უზრუნველყოფს, სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას. სკოლას აქვს პროექტორები, ინტერნეტი კომპიუტერები და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურული მასალა. დანართი 26- კომპიუტერული გამოყენების გეგმა ადასტურებს, რომ დაწესებულების ხელთ არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრაქსტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

სრულფასოვნად წარმართვას. სკოლა გეგმავს სკოლის ციფრული განვითარების გეგმა გაწეროს სკოლის შვიდწლიან განვითარების სტრატეგიულ გეგმაში. სსიპ სამეცნიერო ინფრასტრუქტურისა და განვითარების სააგენტო გეგმავს 8 კომპიუტერის შემოტანას. **ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობასია**

2. სკოლას შემუშავებული აქვს წესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ინტერენტთან მუშაობა, შეუძლია ისარგებლოს საკუთარი ინიციატივითა და სურვილით გამოიყენოს შეხვედრებისა და პრეზენტაციებისთვის კომპიტერული ტექნიკა, დანართი N26(კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა), სასწავლო სივრცეში ინტერნეტით უზრუნველყოფის მტკიცებულებები არის ფოტომასალა განხორციელებული პროექტებისა თუ ღონისძიებებისა, რომლებიც ადასტურებს ინდიკატორის შესაბამისობას მოთხოვნებთან. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 13 კომპიუტერი. სკოლას აქვს სხვადასხვა წლებში მიღებული 35 კომპიუტერი, აქედან 21 მოქმედი კომპიუტერი. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით.. მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა-გრაფიკი . **ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი N 26 კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა;*
*დანართი N8 პროექტი „არა ძალადობას“;*
*დანართი N39 სკოლაში ჩატარებული ღონისძიებები და შეხვედრები;*
*დანართი ,,ტექნიკისა და ინვენტარის შესახებ“;*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - ------------------

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. წესი გაცნობილია და სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში, ასევე, წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. 2020 წლის 27 მაისის დირექტორის ბრძ.N49 დამტკიცებულია სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, office365, Gmail. ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სოციალურ გვერდს, ასევე მშბელთა დახურულ ჯგუფებს, მშობლებთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

მეილებით კონტაქტობს, სიყენებს Teams და zoom -ის პლატფორმებს. სკოლა გეგმავს კიდევ უფრო განავითაროს ტექნოლოგიების გამოყენება და შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში დაგეგმავს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლას აქვს სრული ზოგადი პროფილი სსიპ განათლების მართვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში და აქტიურად სარგებლობს. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა ეს ფაქტი. დაწესებულება დადგენილ დროში და ვადებში ასახავს მოთხოვნილ ინფორმაციას.

**ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალებით და ადგილზე ვიზიტით დასტურდება, რომ სკოლას საქმის წარმოების წესის შესაბამისად აქვს ანგარიშგების, შემოსულ კორესპონდეციაზე რეაგირების პერიოდი და განსაზღვრული პროცედურა. სკოლა სრულად, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ ორგანოებთან.

**ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*სკოლის საქმის წარმოების ინსტრუქცია( დანართი23);*
*ელექტრონული ჟურნალი;*
*პროფილი სსიპ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.*
*დანართი N27 - eFlow და eSchool-იდან ამობეჭდილი და კომპიუტერული ტექნიკის ფოტო მასალა.*

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – -------------------

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესახებ სკოლა ინფორმაციის ავრცელებს სოციალურ ქსელში შექმნილი სკოლის გვერდისა (https://www.facebook.com/search/top?q=%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20n2%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90) , დამრიგებლების მშობლებთან დახურული ჯგუფების საშუალებით, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული დოკუმენტაციით.ასევე სკოლა აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს, როგორც პირისპირ - ღია კარის დღეები, სხვადასხვა ღონისძიებები თემის და მშობლების ჩართულობით, მშობელთა კრებები, ისე ონლაინ პლატფორმებზე ( Teams და zoom), სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, თუმცა მზაობა აქვს, რომ ვებგვერდის შექმნის შემდეგ მასზე განათავსოს ყველა ინფორმაცია და სკოლაში მომქმედი მარეგულირებელი დოკუმენტი. სკოლას აქვს საზოგადოებასთნ კომუნიკაციის სტრატეგია შემუშავებული და დირექტორის ბრზანებით დამტკიცებული. სტრატეგიაში აღწერილია მსობლებთან როგორც პირისპირ, ისე დისტანციური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

შეხვედრების პირობები და პროცედურები. მშობლებთან შეხვედრების განრიგი და სხვა ინდიკატორები, რომელიც ეხმარება სკოლას ჩართოს მშობელი სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.**

2. სკოლა მისი საქმიანობის შესახებ ავრცელებს სანდო და უტყუარ ინფორმაციას, რაც დასტურდება ფოტომასალითა და ვიდეორესურსებით. ასევე მშობელთა კრებების ოქმებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლა კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან ამყარებს სოციალური ქსელში სკოლის გვერდით, დახურული ჯგუფებით( ყველა დამრიგებელს აქვს შექმნილი მშობელთა ჯგუფი, სადაც ყველა საჭირო ინფორმაცია ზიარდება).გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ უკუკავშირს იღებენ კომენტარებით. უკუკავშირის დამადასტურებელი მასალა წარმოდგენილია სოციალურ გვერდზე . https://www.facebook.com/search/top?q=%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20n2%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90), ყველა გამოქვეყნებულ მასალას აქვს პოზიტიური კომენტარი, რაც ვფიქრობთ, სკოლის მართვის სწორ პოლიტიკაზე მეტყველებს. **ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია.**

**4.** სკოლას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ გვერდი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის პერიოდამდე( ვადების შესაბამისად) სკოლას სკოლების საერთო პორტალზე გაუქტიურდა ვებ გვერდი. შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია შესაბამისი აქტივობა- სკოლის ვებ გვერდის შექმნასთან დაკავშირებით შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია; გაწერილია ვებ გვერდის შევსების პერიოდი 17.08.2023- 15.11.2023 , რისკები, სხვა ჩართული მხარე - საინფორმაციო მართვის სისტემა, ადამიანური რესურსი, მათ შორის სკოლამ დანართის სახით შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N63- ვებ გვერდზე პასუხისმგებელი პირი. **ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

**სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მოცემული დროის პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდზე სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის განთავსება.**

5.სკოლას ავტრიზაცციის ექსპერტთა ვიზიტის დროს არ ჰქონდა ვებ გვერდი. ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის პერიოდამდე( ვადების შესაბამისად) სკოლას სკოლების საერთო პორტალზე გაუქტიურდა ვებ გვერდი. შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია აქტივობა- სკოლის ვებ გვერდის შექმნასთან დაკავშირებით შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია; ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა -სკოლამ დანართის სახით შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N63- ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.. გაწერილია ვებ გვერდის შევსების პერიოდი 17.08.2023- 15.11.2023 , რისკები, სხვა ჩართული მხარე - საინფორმაციო მართვის სისტემა, ადამიანური რესურსი. **ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

**სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მოცემული დროის პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდზე სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის განთავსება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – -------------------

სკოლის სოციალური გვერდის ლინკი,

მშობელთა კრების ოქმი,( დანართი ) ,

მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია( დანართი7- ბრძ.N18 2021წ.23 მარტი)

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – ------------------

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, რაც დასტურდება დანართი N32-ით( შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების ბრძანებაN90 2022 წლის 17 ნოემბერი) , სადაც კანონმდებლობის შესაბამისადაა აღწერილი სკოლის მიერ შესყიდვების განხორციელების წესი და გეგმის ფორმა; ბრძანება N93 (2022 წ.18 ნოემბერი) დამტკიცებულია წლიური შესყიდვების გეგმა,ბრძანება N91 ( 17 ნოემბერი2022წ) დამტკიცებულია ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის ბუღალტერი, წარმოდგენილია კათედრების ხელმძღვანელების მიერ დადგენილი საჭირო ნივთების შესყიდვისთვის სამსახურებრივი ბარათები, ბაზრის კვლევის შედეგები, და დანართი N28-თი, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშს და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმს. სკოლამ წარმოადგინა საპროგნოზო ბიუჯეტი 2024 წლისთვის,რითაც დასტურდება, რომ სკოლა თავისი ფინანსური რესურსების ფარგლებში განსაზღვრავს შესაძლებლობებს სკოლის ინფრასტრუქტურლი და სასწავლო რესურსბების მოსაპოვებლად. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი საპროგნოზო ბიუჯეტი, რაც ადასტურებს, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის) სისტემა.2022წლის 27 დეკემბრის ბრძანება N102 -ით დამტკიცებულია ინვენტარიზაციის ჩატარების და კომისიის შექმნა, წარმოდგენილია დებიტორ- კრედიტორებთან ანგარიშსწორების ინვენტარიზაციის აქტი,წარმოდგენილია ინვენტარიზაციის შედეგების ოქმი, სადაც განხილულ იქნა 2022 წლის ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შედეგები( საქაღალდე ფინანსური ინვენტარიზაცია), ასევე წარმოდგენილია მატერიალური აქტივების ინვენტარიზაციის მასალები, მათ შორის საბიბლიოთეკო(საქაღალდე საბიბლიოთეკო ფონდის ინვენტარიზაცია) და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით(დანართი-საქაღალდე- მატერიალური აქტივების ინვენტარიზაცია).წარმოდგენილია 2023 ფინანსური წლის საბუღალტრო მონაცემთა სრული სია. 2022 წლის 6 დეკემბერს სამეურვეო საბჭოს N მე-6 სხდომაზე მოისმინეს სკოლის დირექტორის ანგარიში 2023 წლის ფინანსური და სასწავლო

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროცესებისმიმდინარეობის შესახებ( სამეურვეოს ოქმი N6. 2022 წ.06 დეკემბერი- დანართიN28)

**ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი N32 შესყიდვების წესის დამტკიცების ბრძანება*

*ბრძანება N93 (2022 წ.18 ნოემბერი)შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება*

*დანართი N28 ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან*

*ბიუჯეტი-შემოსავალ -გასავალი*

*ბრძანება N102 2022წ.27 დეკემბერი ,,2022 წლის ფინანსური აქტივების , მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შექმნა"*

*2022წლის 27 დეკემბრის ბრძანება N102 -ით დამტკიცებულია ინვენტარიზაციის ჩატარების და კომისიის შექმნა,*

*ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შედეგები( საქაღალდე ფინანსური ინვენტარიზაცია),*

*საბიბლიოთეკო(საქაღალდე საბიბლიოთეკო ფონდის ინვენტარიზაცია)*

*მიმართულებით(დანართი-საქაღალდე- მატერიალური აქტივების ინვენტარიზაცია)*

*2023 წლის საბუღალტრო მონაცემთა სრული სია*

*საქაღალდე; დამტკიცებული და საპროგნოზო ბიუჯეტი*

*ბრძანება N91 ( 17 ნოემბერი2022წ) დამტკიცებულია ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – -------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

1.დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეების უფლებები არის დაცული. ინდიკატორს ადასტურებს შინაგანაწესი დანართი N5, სადაც განსაზღვრულია, რომ მოსწავლის უფლებები კანონით არის დაცული, მათ აქვთ გასაჩივრების უფლება, მონაწილეობენ სკოლის მართვაში (თვითმმართველობა- სკოლის და კლასებში). სკოლა მოსწავლეებისთვის იყენებს ასევე წახალისების ფორმებს: მადლობის გამოცხადებით, საპატიო სიგელით დაჯილდოებით და აშ. შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები, მოსწავლეებსა და მშობლებს ამის შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია დამრიგებლების საშუალებით. ინდიკატორს ადასტურებს მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებები დანართი N 29, ასევე ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი, დანართი N36, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. სკოლა უქმნის ყველა მოსწავლეს პირობებს, რომ მათი უფლებები იყოს დაცული, განსხვავებული შესაძლებლობებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალური გეგმებით და უზრუნველყოფენ მათ უფლებებს მიიღონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლება და შეიძინონ თანამედროვე ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მასწავლებლების მიერ შემუშავებულია ისე, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში განსაზღვრულია, როგორც სკოლის, ასევე მშობლის უფლებები და მოვალეობები, რაც ადასტურებს კიდევ ერთხელ, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების უფლებების დაცვას. სამართლიანი, თანასწორუფლებიანი გარემო და პირობები კი ხელს უწყობს მოსწავლეებს მიიღონ ცოდნა, გამოუმუშავდეთ უნარ-ჩვევები და შეიძინონ დემოკრატიული ღირებულებები. სადამრიგებლო პროგრამებში და შესაბამისად დებულებაში გაწერილია დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ (ბრძანება N60 2022 წლის 14 სექტემბერი) მათ შორის მუხლი. 9 განსაზღვრულია, რომ დამრიგებელი ატარებს

საგანმანათლებლოს საინფორმაციო კამპანიას ბავშვთა უფლებების, ძალადობასა და ოჯახში ძალადობის, ბულინგის და კიბერბულინგის, დისკრიმინაციის, შვილთან ეფექტური კომუნიკაციის და ბავშვთა უფლებების დაცვისკენ მიმართული სხვა საკითხების შესახებ. პერმანენტული შეხვედრები გაწერილია დებულებაში მშობლებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2.სკოლა სხვადასხვა საშუალებებით ცდილობს გააზიაროს მხარეთა უფლება მოვალეობები სასკოლო საზოგადოებასთან, მოსწავლის გადმოყვანისა ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში ადმინისტრაცია მშობელს( დაწყებით საფეხურზე) და მოსწავლეს(ს აბაზო-საშუალო საფეხურზე) აცნობს შინაგანაწესს, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. დამრიგებლები ეკონტაქტებიან მშობლებს, მოსწავლეებს და ხდება ინფორმაციის გაზიარება. ინდიკატორი დასტურდება შემდეგი მტკიცებულებებით დანართი N 30 მშობელთა კრების ოქმი, დანართი N38 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, დანართი N37 მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა. სკოლის შინაგანაწესი თითოეული მოსწავლისათვის, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის არის ცნობილი, გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, ეგზავნებათ ასევე ელ. ფოსტაზე, კლასის საათის ფარგლებში( მოსწავლეებისთვის) . შინაგანაწესი გამოკრულია ასევე სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლა გეგმავს სამომავლოდ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების სასკოლო რეგულაციები გააზიაროს ვებ-გვერდის საშუალებითაც. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმები და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ადასტურებს, რომ დამრიგებლები და მასწავლებლები მშობლებს აცნობენ მოსწავლეთა უფლებებსა და მოვალეობებს, გასაჩივრების პროცესებსა და სხვა დეტალებს.

**ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.**

3.წარმოდგენილი დოკუმენტებით მტკიცდება, რომ სკოლას კანონით განსაზღვრული წესით აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები მშობლებთან, ხელშეკრულებებში ნათლად არის განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოვალეობების დარღვევის სახეები და

მოსალოდნელი შედეგები( დანრთი 5 შინაგანაწესი). დანართი N29 მშობელთან დადებული ხელშეკრულება გვიჩვენებს, რომ სკოლა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს კანონმდებლობის შესაბამის გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებას. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. სკოლა ვალდებულია: სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლე უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი, ასევე სისტემატურად აკონტროლოს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე დასწრება. სკოლას ხელშეკრულების მიხედვით აქვს ვალდებულება იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და ფიზიკურ განვითარებაზე, მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე და დაიცვას მოსწავლის კანონიერი უფლებები და ინტერესები. სკოლას უფლება აქვს მოსთხოვოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმების დაცვა. დოკუმენტებში გაწერილი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და მეორე მხრივ სკოლის უფლება-მოვალეობები ადასტურებს, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე ხელშეკრულებები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები*

- *დანართი N 5 შინაგანაწესი*
- *დანართი N7 სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის 2 საჯარო სკოლის 2021 წლის 23 მარტის ბრძანება. „მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიებისა და შეხვედრების განრიგის დამტკიცების შესახებ“*
- დანართი N 35დამრიგებლის დებულება
- *დანართი N29 მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.*
- *დანართი N36 ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - ------------------

- *დანართი N37 მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა.*
  - დანართი N13 სკოლის მართვა( სკოლის დებულება)
  - დანართი N35 დამრიგებლის დებულება

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითგანათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ ბრძანების შესაბამისად, რ ა ც ა ს ა ხ უ ლ ი ა შინაგანაწესში, კერძოდ, სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, როგორც პირველკლასელთა, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარებისა და მოსწავლის ჩარიცხვის და სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვის პროცედურები. დეტალურად არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების თუ შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს შესაბამისი წესით, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნებით, ისგ ჯგუფის მუშაობის შედეგად გაცემული რეკომენდაციებით და მშობელთან უშუალო კომუნიკაციით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

2. სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს ახორციელებს კანონის შესაბამისად, ცალკე დოკუმენტი სკოლას არ აქვს შემუშავებული ამ პროცესის მექანიზმების შესახებ, თუმცა იგი მოქმედებს შინაგანაწესის მიხედვით, სადაც გაწერილია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესისა და პროცედურების შესახებ. მშობელი ეცნობა სკოლის დებულებასა და შინაგანაწესს, დირექტორის სახელზე შემოდის განცხადება ჩარიცხვასთან დაკავშირებით და აფორმებს ხელშეკრულებას. განცხადება რეგისტრირდება eflow ს საშუალებით, მოთხოვნა იგზავნება გადმომსვლელი სკოლიდან შესაბამისი დოკუმენტაციის გამოთხოვის საფუძველზე, ჩარიცხვა ხორციელდება მოსწავლის პირადი საქმის მიღებისთანავე და ამორიცხვის ბრძანების საფუძველზე. სკოლას განსაზღვრული აქვს ასევე პირველ კლასში მიღების წესი. სტატუსის შეჩერება კი ხორციელდება შემდეგნაირად, მშობელი წერილობით მიმართავს სკოლას, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სტატუსის შეჩერების შესახებ და აცნობებს მშობელს. სტატუსის შეჩერება აისახება eschool-ის ელექტრონულ ბაზაში. საფეხურის დაძლევის პროცედურებიც და პირობებიც არის გაწერილი დოკუმენტში, შესაბამისად დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვასა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, შეწყვეტის მექანიზმებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სკოლა თანამშრომლობს მშობლებთან კლასის ხელმძღვანელებისა თუ ფეისბუქ გვერდის საშუალებით, რასაც ადასტურებს დანართი N7 "მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგიებისა და შეხვედრების განრიგის დამტკიცება". სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ზიარდება სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდზე, სადაც მშობლებს შეუძლიათ გაიგონ სიახლეები, გააკეთონ კომენტარები და აშ. ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების პროგრამები კი სკოლას არ აქვს. მასწავლებლები და დამრიგებლები აქტიურად მუშაობენ სასწავლო პროექტებსა და ღონისძიებებზე, იწვევენ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, აღნიშნული კი სკოლას ინფორმაციები გაზიარებული აქვს ფეისბუქ გვერდსა და სასწავლო შენობაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლის შინაგანაწესიდან მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის სახეები სკოლას გამოკრული აქვს შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების შესახებ.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. სკოლა აქტიურად მუშაობს ფეისბუქ გვერდზე და ავრცელებს სიახლეებსა და მიმდინარე ღონისძიებებს, მშობლებთან ურთიერთობს ასევე დამრიგებლების მეშვეობით, ინფორმაციის გავრცელების წყაროდ ასევე იყენებს საინფორმაციო დაფას, გავრცელებული ინფორმაციები კი არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული, რასაც ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტები, ფოტოები, ვიდეოები(დანართი N39 და დანართი N44 ღონისძიებების, შეხვედრებისა და პროექტების ლინკები), სადაც იკვეთება, რომ სკოლა ყველა მოსწავლისთვის ხდის მისაწვდომს არსებულ პროგრამებს, სერვისებს, აქტივობებსა და რესურსებს. სკოლა მოსწავლეების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებამდე მშობლებისგან იღებს წერილობით ნებართვას, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*4.1.2.1.დანართი 5 შინაგანაწესი*

*4.1.2.2.დანართი 2 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა*

*4.1.2.3. დანართი 7 სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის 2 საჯარო სკოლის 2021 წლის 23 მარტის 18 ბრძანება „მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიებისა და შეხვედრების განრიგის დამტკიცების შესახებ“*

*4.1.2.4.დანართი 7 სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის 2 საჯარო სკოლის 2021 წლის 23 მარტის 18 ბრძანება „მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიებისა და შეხვედრების განრიგის დამტკიცების შესახებ“*
*დანართი N44 ღონისძიებების, შეხვედრებისა და პროექტების ლინკები*

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში,რაც გაწერილია შინაგანაწესში. დაწესებულებას ცალკე მოსწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – -------------------

სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი არ აქვს შემუშავებული, თუმცა დამრიგებლის დებულებაში- (დამრიგებლის ფუნქცია -მოვალეობები )შინაგანაწესში დეტალურად არის აღწერილი ის პროცედურები, რასაც სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა ადაპტაციისათვის.პირველ კლასში რეგისტრაცია; ოჯახისა და ბავშვის მზადება სკოლისათვის; სკოლის მზადება ბავშვების უმტკივნეულო ტრანზიციისათვის.პირველ კლასში მოსწავლეთა ადაპტაციისათვის მასწავლებლები აწარმოებენ არაფორმალურ შეხვედრებს მშობლებთან და ბავშვებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით, დამრიგებლები აცნობენ მშობლებს სადამრიგებლო პროგრამებს, ასევე სასწავლო აქტივობებსა თუ პროექტებს, რომლებსაც განახორციელებენ სწავლების დროს. სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები ემსახურება მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას, მაგალითად შეხვედრა გია ბაღაშვილთან, დინამოს ვეტერანებთან, გამართული საღამოები გურამ დოჩანაშვილთან და „გოდერძი ჩოხელის საღამო“, სოციალური პროექტი „დარგე ერთი ხე“, ტოლერანტობა და ადამიანის უფლებები(დანართი N44) , დამრიგებლის დებულება.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – -------------------

-------------------------

2.. სკოლა სასწავლო პროცესის დასაწყისში მოსწავლეებს რთავს არაფორმალური განათლების ღონისძიებებში, "სიკეთე გადამდებია", "პროექტებით სწავლება" (ეს ღონისძიებები სკოლას გაზიარებული აქვს ფეისბუქ გვერდზე), რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს ადაპტაციაში. სასწავლო პროცესის დასაწყისში დამრიგებლები იკვლევენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს და გეგმავენ სასწავლო პროცესს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ადაპტაცია სასკოლო გარემოში. ინდიკატორს ადასტურებს სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებლის დებულება, შინაგანაწესში წარმოდგენილია მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესები. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, განხორციელებული ღონისძიებები, თუ პროექტები მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოსწავლეებს იგრძნონ თავი სასკოლო საზოგადოების წევრებად, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული და ეფექტური მექანიზმი მოსწავლეთა ადაპტაციისათვის არის სასკოლო აქტივობებში, ღონისძიებებსა თუ პროექტებში მათი ჩართვა. მაგალითად ღონისძიებები: „დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება", „დედის დღე", გარემოს დაცვა ეკოლოგიის დღე, ბავშვთა დაცვის დღე, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, (დანართი N39), პროექტი „არა ძალადობას"(დანართი N8) , ეკოსკოლა და აშ. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო პროექტებით, დამატებითი მეცადინეობებით ცდილობენ მოსწავლეებს გაუწიონ სათანადო დახმარება აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

კათედრები მუდმივად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად, სკოლაში მომქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი ხელს უწყობს დირექციასთნ ერთად მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდაა ასახული , რომ სკოლა დენინგის ციკლით ახორციელებს სასწავლო პროცესს და უწევს მუდმივ კონსულტირებას როგორ მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს. სკოლას აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმი შემუსავებული, სადაც ნათლად ჩანს, რომ ყველა თანამშრომელს სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე აქვს ვალდებულება განვითარდეს. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. მოსწავლეთა უფლებები და უფლებების დაცვის პროცედურები სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად შინაგანაწესში (დანართი5), ასევე დადასტურებულია მშობელთან დადებულ ხელშეკრულებებში, დანართი N29

**ინდიკატორი შესაბამება მოთხოვნებს.**

5. სკოლა მუშაობს პროექტული სწავლებებით, რაც წარმატებით მუშაობს მათთან, ჰყავთ აქტიური მასწავლებლები, რომლებიც გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, რაც ზრდის მოსწავლეთა უნარ-ჩვევებსა და ცოდნას. დაწესებულება აღნიშნავს, როგორც თვითშეფასებაში, ასევე ვიზიტის დროს, რომ მათ განახორციელეს არაერთი წარმატებული პროექტი, რომლითაც მოიპოვეს მატერიალური რესურსები სკოლისათვის, პროექტებით სწავლება კი ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების და ისეთი ღირებულებების განვითარებას, რომლებიც გაწერილი აქვთ სტრატეგიულ გეგმაში. განხორციელებული აქვთ სამხატვრო აკადემიის ორწლიანი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - ------------------

პროექტი „ხელოვნება მომავლისათვის“, სამწლიანი პროექტი „დემოკრატია იწყება შენით“, რომლის ფარგლებშიც გამარჯვებულმა ორმა მოსწავლემ ერევანში მონაწილეობა მიიღო მინი-პარლამენტის მუშაობაში და სკოლას გადეცა საოფისე ინვენტარი საჩუქრად. სამოქალაქო განათლების პროექტით „ჯანსაღი თაობა ნათელი მომავლისათვის“ სკოლას გადაეცა სპორტული ინვენტარი და ტექნიკა საჩუქრად. სკოლის მოსწავლეებმა ასევე გაიმარჯვეს თვითმართველობის პროექტში „ადგილობრივი ლიდერები“ და მოიპოვეს საჩუქრად წიგნები, რითაც შეივსო სკოლის ბიბლიოთეკა. სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს ასევე მონაწილეობა რეგიონალურ ფორუმში და წარმოადგინეს კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს სკოლა ღებულობს სამეურვეო საბჭოს სხდომებისა (დანართიN 6 სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენლის არჩევა) და მშობელთა კრებების საშუალებით (დანართი N30 “მშობელთა კრების ოქმი). როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მოსწავლეებისა და მშობლების, ასევე სხვა დაინტერესებული პირების უკუკავშირს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ სადამრიგებლო მუშაობის ფარგლებში ისინი იღებენ და ახალისებენ მოსწავლეთა ინიციატივებსა თუ უკუკავშირს განსახორციელებელი სასწავლო პროგრამების შესახებ და მათი აზრი და შეხედულებები მნიშვნელოვანია სკოლაში წარმატებული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლა მოსწავლეებისგან უკუკავშირს იღებს, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - ------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი N5 შინაგანაწესი*
*დანართი N29 მშობელთან ხელშეკრულება დანართი N8*
*"პროექტი არა ძალადობას"*
*დანართი N44 ფეისბუქ გვერდზე ატვირთული ღონისძიებების ლინკები*
*დანართი N35 დამრიგებლის დებულება*
*დანართიN13-სკოლის მართვა*
*დანართიN14 ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები.*
*დანართიN18 ხარისხის გაუმჯობესება*
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა წარმატებით ახორციელებს პროფორიენტაციის კურსს, მე-9 კლასს ადმინისტრაციით განსაზღვრული პირი უტარებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილებს, კურსის ფარგლებში ატარებენ შეხვედრებს, ვიზიტით მიდიან უნივერსიტეტებში და ღებულობენ მათთვის საინტერესო ინფორმაციებს. მოსწავლეები პროფორიენტაციის კურსის ფარგლებში ხვდებიან ასევე პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მაგალითად სოციალურ ქსელში ატვირთული აქვთ გორის უნივერსიტეტსა და ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის წარმომადგენლებთან შეხვედრები. შეხვედრის ფარგლებში გააცნეს მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამები, მოთხოვნადი პროფესიები და დასაქმების შესაძლებლობები. მტკიცებულებები დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ფეისბუქ გვერდზე ფოტომასალით. გარდა ამისა სკოლაში იწვევენ სხვადსხვა პროფესიის ადამიანებს ატარებენ შეხვედრებს და იზიარებენ სხვადასხვა პროფესიების მახასიათებლებს. პროფესიული კურსი ტარდებოდა სკოლაში ასევე ხეზე მუშაობის მეთოდებთან დაკავშირებით. შენობაში არის მოსწავლეების მიერ შექმნილი ხის ნამუშევრები. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - ------------------

2. სკოლა ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებს სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო დაფას სკოლაში, პროფორიენტაციის კურსის შესახებ ინფორმაციას მშობლებს სკოლა აწვდის დამრიგებლების მეშვეობითაც, საინფორმაციო დაფაზე გამოკრული აქვს მშობლებთნ კომუნიკაციის წესი. სოციალურ ქსელში ავრცელებს სკოლა პროფორიენტაციის კურსის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, მაგალითად დანართი N44 შეხვედრები გორის უნივერსიტეტისა და ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში გააცნეს მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამები, მოთხოვნადი პროფესიები და დასაქმების შესაძლებლობები. მტკიცებულებები დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ფეისბუქ გვერდზე ფოტომასალით. გარდა ამისა სკოლაში მოწვეული სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები აზიარებენ მოსწავლეებს პროფესიების მახასიათებლებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აცნობენ კურსის საქმიანობასა და მიღწევებს იმ კლასების მშობლებს, რომლებთანაც დაგეგმილია აღნიშნული კურსი. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3.სკოლა ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებს სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო დაფას სკოლაში, პროფორიენტაციის კურსის შესახებ ინფორმაციას მშობლებს სკოლა აწოდებს ასევე დამრიგებლების საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებთან და დირექტორათან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მუდმივად ითვალისწინებენ გამოცდილების შედეგებს და ისე გეგმავენ შემდგომ სამუშაო პროცესს. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი დანართი N28 სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ანალიზი. შედეგებს კი სკოლა იყენებს შემდგომი სამუშაო პროცესის დასაგეგმად. წლის ბოლოს მასწავლებლები აკეთებენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

შესრულებული სამუშაოს შეჯამებას, ანალიზს ძლიერ და სუსტ მხარეების შესახებ. მიღებულ შედეგებსა და უკუკავშირს იყენებენ შემდგომი სასწავლო პროცესის დასაგეგმად. სკოლა, როგორც თვითშეფასებაში აღწერს მუდმივად ითვალისწინებს გამოცდილების შედეგბს და ისე გეგმავს შემდგომ სამუშაო პროცესს. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანება N10 (2023წლის 2 მარტი). სადაც გაწერილია ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“( დენინგის ციკლი) თუ ვინ, როდის, როგორ ახდენს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, აანალიზებს და იყენებს შემდგომ სკოლაში პროცესების მიმდინარეობის ხარისხის განვითარებისთვის და გაუმჯობესებისთვის.ასევე ამავე ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა (დანართი11) **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N 44 ფეისბუქ გვერდის ლინკები;*
- *დანართი N39 ღონისძებებისა და შეხვედრების ლინკები;*
- *დანართი N28 სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.*
- *დანართი11 სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - ------------------

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები დანართი N38, ასევე წარმოდგენილი აქვთ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა დანართი N37 და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ, ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს, სუსტ და ძლიერ მხარეებს და ამის შემდეგ ერთობლივად შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რასაც ადასტურებს დანართი N36 "ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი". ეს მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი და აძლევს ყველა მოსწავლეს საშუალებას მიიღონ განათლება და შეიძინონ ის უნარ-ჩვევები, რაც სჭირდებათ თანამედროვე ცხოვრებაში რეალიზებისა და საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის. . სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციაში აღწერილია სსსმ მოსწავლეთა ჩართვა

საგანმანათლებლო სივრცეში, მათი მხარდაჭერა, დამხმარე პროცესები და ხელისშემშლელი მოსალოდნელი საფრთხეები და დასაქმებული პირების მიმართ გაცემული რეკომენდაციები სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას. დანართი *N36* ისგ ჯგუფის ოქმში განხილულია ერთ-ერთ მოსწავლეზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პირველი სემესტრის განმავლობაში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეჯამება, დოკუმენტი ადასტურებს, რომ სკოლა ინდივიდუალურად მოსწავლეთა, ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების მიხედვით გეგმავს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და აკეთებს შედეგების ანალიზს, როგორც ვიზიტისას აღნიშნეს და სკოლის დათვალიერების შემდეგ ვნახეთ, სსსმ მოსწავლეებს მასწავლებლები აქტიურად რთავენ სასკოლო ღონისძიებებსა და შემოქმედებით აქტივობებში. სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგის სისტემა. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. სკოლამ წარმოადგინა დანართი N 36-ში- ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისათვის შექმნილი
სამუშაო ჯგუფის ოქმი, სადაც აღწერს, რომ მოსწავლის ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – -------------------

გათვალისწინებით, მიწოდებული რეკომენდაციებისა და რჩევების, ასევე მშობლის აზრის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები განსაზღვრულ საგნებში. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სსსმ მოსწავლის სწავლებაში, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობის პრინციპებს.წარმოდგელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ადასტურებს, რომ მასწავლებლები გეგმავენ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ გეგმას, რომელიც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის მიერ, ჯგუფი ჯერ აგროვებს მონაცემებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე, მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და შემდეგ გეგმავს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას( დანართი N 38 ისგ გეგმა). მასწავლებლები აქტიურად რთავენ სსსმ მოსწავლეებს ღონისძიებებსა და პროექტებში, ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ აღმოაჩინონ სსსმ მოსწავლეებში განსაკუთრებული ნიჭი და უნარი და გაუზიარონ სასკოლო საზოგადოებას.

**ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი N 36 „ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფი“ დანართი N 37 „მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა“*

*დანართი N 38 “მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“*

*სკოლის ინკლუზიური განათლების კონცეფცია*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

შეესაბამება
მეტწილად შეესაბამება
ნაწილობრივ შეესაბამება
არ შეესაბამება

***4.2.4.*** სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - -------------------

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას არ აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სერვისები.
2. არ აქვს სკოლას დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. არ აქვს სკოლას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების პროგრამები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - ------------------

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: – -------------------

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამმოიკვეთა, რომ კათედრები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით *მუშაობენ* კურიკულუმების შექმნასა და მის დახვეწაზე.. კათედრის წევრები არიან აქტიურად ჩართულნი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რომელიც ეყრდნობა მოსწავლეთა თვითშეფასებებს, კათედრის ანალიზებს. აქვთ წარმოდგენილი კურიკულუმები საგნობრივი მიმართულებებით,თუმცა ამ ეტაპზე აგრძლებენ მუშაობას მისი დახვეწის ნაწილში. ინტერვიურების პროცესში ასევე იკვეთება,რომ კურიკუმების შედგენის დროს პედაგოგებს არ გაუჭირდებათ კომპლექსური დავალებისა და აქტივობების დიფერენცირების გათვალიწინება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს, ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, მათი ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების ნაწილში, რომელიც მიმდინარეობს პედაგოგებისა და დირექციის აქტიური მონაწილეობით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. ჩატარებული ღონისძიებები მიუთითებს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ჩართულობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. ყველა საგნობრივი მიმართულება აღნიშნავს, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ კათედრები, კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, თანხმდებიან რომელ კომპლექსურ დავალებებს გამოიყენებენ დასამუშავებელი თემის ფარგლებში, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. ინდიკატორს ადასტურებს ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის, კათედრის, ადმინისტრაციის როლი შემუშავების პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობა, რის მიხედვითაც იგეგმება შემდეგ მიზნობრივი აქტივობები. ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში. სამომავლოდ მასწავლებლები გეგმავენ, რომ შეიმუშაონ კითხვარის ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმები, შექმნან ფოკუს-ჯგუფები და მიღებული შედეგების ანალიზი ასახონ სასკოლო კურიკულუმში.
**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

4. ყველა საგნობრივი მიმართულებით აღნიშნულია, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან, კათედრები აქტიურად მუშაობენ ამ კუთხით, აფასებენ განვლილ სასწავლო პროცესს და გეგმავენ მიზნობრივ აქტივობებს, აზიარებენ კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალების იდეებს და სამომავლოდ აპირებენ ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს კურიკულუმების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებაში. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლები ატარებენ მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს და აცნობენ კომპლექსური დავალების იდეებს. ინდიკატორს ადასტურებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც, სადაც აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ზიარდება კათედრებზე, მასწავლებლებს შორის და მშობელთა კრებებზე. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დანართი N45 „დაწყებითი კლასების კათედრის სხდომის ოქმი“;
- დანართი N9 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დანართი N11 ბრძანება სასკოლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმის დებულების დამტკიცების შესახებ;
- დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;
- დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგამ;
- დანართი N7 ბრძანება მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პედაგოგები იაზრებენ კურიკულუმს, როგორც სასწავლო მიზნებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარების რეალიზების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. კერძოდ, კურიკულუმში მოცემულია სავალდებულო თემები, სადაც შერჩეულია საკითხები, რომელიც მიმართულია სამიზნე ცნებების დასამუშავებლად, ქვეცნება მიმართულია სამიზნე ცნებასა და საკითხზე. შუალედური სასწავლო მიზნის დასამუშავებლად ძირითადად გამოყენებულია სახელმძღვანელოს რესურსები. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, აღინიშნეს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ კურიკულუმს და შესაბამისად განახორციელებენ ცვილებებს. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, რადგან თემებში მოცემულია ძირითადი საკითხები, სადაც შესაბამისი სამიზნე ცნებები მუშავდება კომპლექსური დავალებით, რომელიც მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებზე. კურიკულუმებში მკაფიოდ იკვეთება მიმართება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ ქვეცნება-ქვესაკითხებს შორის., ინტერვიუს პროცესმა გამოკვეთა, რომ პროექტულ დავალებებთან ერთად კომპლექსური ბუნების დავალება მიიჩნევა უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნის საშუალებად და 6 კომპონენტური უნარის დასამუშავებლად. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლაში ხორციელდებაინდივიდუალური გეგმების შემუშავება და კომპლექსური დავალებების მათზე მორგებულად ადაპტირება.დანართის სახით წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებით, ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რაც მოიაზრებს იმას, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია

ინკლუზიური მიდგომები.**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლა იყენებს შეფასების ორივე ტიპს, განმსაზღვრელი შეფასებისას სკოლა იყენებს, როგორც ანალიტიკურ, ასევე ჰოლისტური შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. სკოლაში საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია საგნობრივ სპეციფიკასთან შესაბამისი სხვადსხვა ტიპის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (მაგ: პრეზენტაციის, ექსპერიმენტის, კვლევის, პრაქტიკული სამუშაოების, ესეს, წერილის, ზეპირი კომუნიკაციის და აშ) რომელთა საშუალებითაც ფასდება მოსწავლის პროგრესი და იგეგმება ინტერვენციები. სკოლა გეგმავს თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, განმსაზღვრელი შეფასების დახვეწას და მორგებას სხვადასხვა სასწავლო აქტივობებზე. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სასწავლო პროცესში მიღებული გამოცდილება გათვალისწინებულია სასწავლო კურიკულუმის გადამუშავების/რევიზირების პროცესში. ახალი სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელი იქნება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც ხაზი გაესვა, რომ კათედრები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მუშაობენ კურიკულუმების შექმნაზე. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- *დანართ N46-( დაწყებითის კურიკულუმების ლინკი);*
- *დანართი N19( საგნობრივი კურიკულუმების ლინკი);*
- *დანართი N2(სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23);*
- *დანართიN46 -დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი -ინკლუზიური განათლების კონცეფცია;*
- *დანართი N44 სკოლის ფეისბუქ გვერდი;*
- *დანართი N8 განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;*
- *შემაჯამებლის ანალიზები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე ყველა საგანი ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, მათ დაინტერესებას და ჩართვას სასწავლო პროცესში. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმრბი დაგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო გარემო, სკოლის პედაგოგებისთვის ყველა მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად. მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ შემოქმედებითობის თავისუფლებას, არჩევანის თავისუფლებას, სკოლაში იმართება ლიტერატულული საღამოები, კონფერენციები, მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა კონკურსებში, სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტებში. მასწავლებლები მოსწავლეებს უღვივებენ მოტივაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. კათედრას შეძლებისდაგვარად, მეტნაკლებად მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტის არსი. პედაგოგები მართებულად იაზრებენ სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების კონსტრუირებისთვის, ახალი ცოდნის შესაძენად ამ საგანმანათლებლო პრინციპის მნიშვნელობას. საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებში იწვევენ ინტერესს და საშუალებას აძლევს ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და მასზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის დადგენა. ამისთვის მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან ტესტებს, შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებს, ასევე, ატუალურია კოგნიტური სქემების გამოყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს გამოცდილება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენოს კონსტრუქტივიზმის პრინციპები. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია კომპლექსურ დავალებებში გაწერილ აქტივობებში. მასწავლებლები ხშირად იყენებენ ისეთ დავალებებს, რომელიც მოითხოვს მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს - რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელის შემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა და როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს. კომპლექსური დავალების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, მოსწავლეს უბიძგებს დასახოს მისი შესრულების სტრატეგიები და თავად შეაფასოს იგი ან მიიღოს უკუკავშირი მოსწავლის ან თანატოლოსაგან. კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. სკოლაში განხორციელებულია პროექტი, რომელშიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე პრობლემის იდენტიფიცირებისა და პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. სასწავლო პროცესში, ყოველი აქტივობის შესრულებისას პედაგოგები ითხოვენ მოსწავლისგან რეფლექსიას, რაც უზრუნველყოფს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. ასევე, სკოლა სამომავლოდ ნერგავს დიფერენცირებული სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს სასწავლო პრაქტიკაში. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. კათედრის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური ბუნების დავალებებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება მახვილდება მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. ყველა საგანში ისეთი დავალებები და აქტივობებია შერჩეული, რომელიც მოსწავლეს ეხმარება ეტაპობრივად გაიაროს ცოდნის სამივე კატეგორია, მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მხრივ, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სკოლამ წარმოადგინა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული როგორც მთავარი რესურსი და აგრეთვე სხვადასხვა ტიპის რესურსი: ბუნებრივი გარემო-(მაგ სკოლის ეზო და მიმდებარე ტერიტორია , თემისთვის სახლი და სკოლა, როგორც გარემო) ; ფოტო და ვიდეო მასალა ; ფილმები-„ წყლის წვეთის მოგზაურობა და საჩვენებელი ფილმი მდგრადი განვითარების სახელმძღვანელოდან პლასტმასის ბოთლებით წვეთოვანი მორწყვის სისტემის დამზადება. (ამის გამოცდილება წინა სასწავლო წელს ქონდათ) რესურსები-მარტივი ექსპერიმენტის ჩასატარებლად : ერთჯერადი ჭიქები , ძაფი,ელ.ჩაიდანი, ყინულის კუბი , კოვზები-რკინის, პლასტმასის, ხის ; სკოლას არ აქვს ლაბორატორია. თუმცა მარტივი ექსპერიმენტები რომლებიც დაგეგმილი აქვთ სასწავლო პროცესში ჩვეულებრივ საშინაო პირობებშიც შეიძლება ჩაატაროს მოსწავლემ და მასწავლებელმა თავისი ძალებით უზრუნველყოს საჭირო რესურსების მობილიზება და საჩვენებელი ცდის ორგანიზება; შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდგენილი რესურსებსა და აქტივობებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეს აქვს საშუალება მიიღოს ცოდნის სამივე კატეგორიის დამუშავების შესაძლებლობა. დეკლარატიული სახის ინფორმაცია მიწოდებულია მთავარი თუ დამატებითი რესურსით, დამატებით რესურსად ძირითადათ გამოყენებულია ვიდეო მასალა; მასწავლებელს აქვს ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენების პრაქტიკა, აუცილებელია სკოლა აღიჭურვოს ლაბორატორიით ; სკოლას აქვს შესაბამისი სივრცე ლაბორატორიის მოსაწყობათ , ეფექტური და მიზნობრივი დაგეგმარებით შესაძლებელია ამ პრობლემის მოგვარება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მეტი აქტივობებისა და ღონისძიებების გატარებას ცოდნის სამივე კატეგორიის უკეთესად დასაუფლებლად. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

5. დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც წარმოდგენილი აქვს სკოლას გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსურ დავალებები ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას ცოდნის ორგანიზებაში დაეხმარება. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ.მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩინა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით, ყოველთვის ხაზი ესმება ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N46 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N48 კომპლექსური დავალება;*
- *დანართი N2 - 2022-2023 ს/წ. სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დანართი N3 - 2022-2023 ს/წ. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;*
- *დანართი N5 კურიკულუმების ჩარჩო კლასების მიხედვით;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმების ლინკები;*
- *ბუნებისმეტყველების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N47 კომპლექსური დავალება;*
- *დანართი N12 კათედრის ოქმი გადაწყვეტილება;*
- *დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ჩანს თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. წარმოდგენილ კურუკულუმებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლის მიერ განხორციელებული პრაქტიკის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთავარი ორიენტირია სამიზნე ცნებების სავალდებულო თემებში დამუშავება, ქვეცნებები მიმართულია საკითხებსა და ქვესაკითხებზე. ამ თემაზე საუბრისას, პედაგოგებმა მიმოიხილეს ერთ-ერთი კომპლექსური დავალების პირობა, რამდენიმე კონკრეტული აქტივობა და აღნიშნეს, რომ პროცესის მართებულად წარმართვის შემთხვევაში ხელი შეეწყობა საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, სამიზნე ცნებების გათავისებას. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, ისეთი დავალებების შესრულება რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. ამას ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესის განვითარებაში უპირატესობა კომპლექსურ დავალებებს ენიჭება. კომპლექსური დავალების თანმიმდევრული განხორციელება მოიცავს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემებში მოცემულია ძირითადი საკითხები, რომელიც კომპლექსური დავალების სახით მუშავდება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, პრობლემური საკითხები, შესასრულებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტმაგალითები, მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ სოციო-ემოციური განვითარების დონეს.

ინტერვიუზე მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. გამოყოფენ კომპლექსური დავალების პროცესში ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად დასმულ შეკითხვებს. მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებში უნდა აღწერონ დავალებების განხორციელებისას წამოჭრილი სირთულეები, საკუთარი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ, ემოციები და გრძნობები, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. ამასთან ერთად უვითარდებათ თვითრეგულაცია და მართავენ საკუთარ ემოციებს. ეჩვევიან ერთმანეთის აზრის მიმღებლობას და ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გააუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

სკოლას სურვილი აქვს გააქტიუროს არაფორმალური აქტივობები და განათლება. მოსწავლეებს მოსწონთ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღება, ამისათვის კი ისინი ცდილობენ შეძლებისდაგვარად განახორციელონ სოციალური პროექტები. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების და ურთიერთობის უნარების განვითარებას. ასევე, ინტერვიუს დროს განხილული ქეისით (შესრულებული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების აღწერა), მოგვეცა საშუალება აღვნიშნოთ, რომ სკოლა ქმნის მოსწავლეებისთვის პირობებს, რათა მათ შეეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა, თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან სადაც უწევს მოქმედება.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი, შესაბამისად მიემართება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მოსწავლეთა სოციო-ემოციური განვითარებისკენ. იმისათვის რომ, მოსწავლე ჩამოყალიბდეს პიროვნებად აუცილებელია ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, გვთავზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლა, საკუთარი შეფასების აღწერის ნაწილში წარმოადგენს განმსაზღვრელი შეფასების პირველ ტიპს და უპირატესად სახავს განმავითარებელ შეფასებას ყველა საფეხურზე. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე

განმავითარებელი შეფასება სოლო ტაქსონომიის მიხედვით ხორციელდება. წარმოადგინეს კონკრეტულ თემასა და სამიზნე ცნებაზე მორგებული სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა და გამოხატეს მზაობა აღნიშნული შეფასების სისტემის შემდგომი დანერგვისთვის. შეფასების ფორმად სკოლა იყენებს, ზეპირსიტყვიერ ან წერილობით უკუკავშირს, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე წამახალისებელ მითითებებს და სიმბოლოებს. იმის გათვალისწინებით, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში, ფოკუსირდება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, ხელს უწყობს მოსწავლეებში აქტიურ ჩართულობას და ავთენტურია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა მოსწავლეს აფასებს ჰოლისტურად.

დანართის სახით წარმოდგენილია სასწავლო პროცესში გამოყენებული სასწავლო აქტივობები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი, რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შეფასების სისტემა ორინტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

სკოლის თვითშეფასების განაცხადით დასტურდება და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც ირკვევა, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, შეფასების მიზანია მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობა, შეფასება მოსწავლეებს ეხმარება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში.

როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ეძლევათ მოსწავლეებს კონსტრუქციული უკუკავშირი, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და გამოკვეთილი საჭიროებების შესახებ, რაც მთლიანობაში ორიენტირებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმები - ჩანს განმავითარებელი შეფასების გამოყენების პრაქტიკა. კათედრის ოქმით დასტურდება შუალედური მონიტორინგი პროექტებთან მიმართებით და მოსწავლის მხარდაჭერის საჭიროების კუთხით. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რაც სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებულია. სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში სასწავლო პროცესის შემოწმება. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ემსახურება როგორც საგნობრივი საკითხების შემოწმებას, ასვე აფასებს მის უნარებს, პიროვნულ თვისებებს, სოციალურ უნარებს, დამოკიდებულებებს და გამჭოლ კომპეტენციებს.

წარმოდგენილი განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები ცხადყოფს რა კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავა მასწავლებელმა ესა თუ სი რუბრიკა, რა პრინციპით აარჩია შეფასების ინსტრუმენტი და მისი შინაარსი ჩამოყალიბდა გრძელვადიან მიზანთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა კრიტერიუმებს. ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები მუდამ წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და ამით უზრუნველყოფენ მის ვალიდურობას, გამჭვირვალობის პრინციპს კი იცავენ იმ ფაქტით, რომ აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მიღწევებს, უნარებს, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისად სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მასწავლებელმა ინტერვიუზე აღნიშნა რომ, აცნობს შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს და მშობლებს. შეფასება ვალიდურია - შესაბამისობაშია მიზნებთან. როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა წინასწარ იცის ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. ***ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.***

5. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, საჭიროების შემთხვევაში ეძლევა უკუკავშირი. არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები.

დაწყებით საფეხურზე მასწავლებლების მხრიდან გამოვლინდა პრაქტიკა მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზისა. ვერიფიკაცია არის რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არსებული მდგომარეობით დასახვეწია და საჭიროებს გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს, ცალკეული შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლების მიერ განახორციელებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზები. თვითშეფასების დოკუმენტშიც აღნიშნულია და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ არსებული შეფასების სისტემა დასახვეწია და საჭიროებს გაუმჯობესებას, რაც იგეგმება მომავალ სასწავლო წელს. წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია შეფასების ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე პირთა ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია მოხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შექმნა. სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასებების დანერგვას, კერძოდ ტესტირების, რომელსაც ჩაატარებს წელიწადში ერთხელ.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

6. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. მოსწავლეთა აკადემიური შეფასებების შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება სკოლის არქივში შესაბამისი წესების დაცვით. ამ პროცესებს ადასტურებს საქმისწარმოების ინსტუქცია, რომელიც ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, დაწყებითი კლასის მასწავლებლები აპირებენ მოსწავლეთა პორტფოლიოს შექმნას სადასც იქნება შენახული მოსწავლის განვითარების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები. მასწავლებლებს ჰქონდათ ნიმუშის სახით წარმოდგენილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მიერ წარმოდგენილი დანართი N23 - ბრძანება საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- პედაგოგებთან ინტერვიურება;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- დანართი N2 - 2022-2023 ს/წ. სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დანართი N3 - 2022-2023 ს/წ. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;
- დანართი N46 - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- დანართი N47 - შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- დანართი N48 - კომპლექსური დავალება;
- რესურსი N7- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- რესურსი N8 - განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- რესურსი N12 - კათედრის ოქმი.
- დანართი N 40 კომპლექსური დავალება ინგლისურში.

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილი მისია და ხედვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, შეფასების სისტემა, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირება და სადამრიგებლო პროგრამები უზრუნველყოფს სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. მნიშვნელოვანია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: ინკლუზიური განათლების კონცეფცია, კონკრეტული მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და აღნიშნულ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, რაც ასევე ცხადყოფს სკოლის მზრუნველ და მხარდამჭერ დამოკიდებულებას სსსმ მოსწავლეთა მიმართ. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები , მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზები, მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების რეფლექსიები მიუთითებს, რომ სკოლა ზრუნავს ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას. განხორციელებული სასკოლო პროექტებიც ასაევე ადასტურებს დაწესებულების მხარდაჭერას მოსწავლეების მიმართ, ისინი გრძნობენ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისგან, რომ მათი უნარები და შესაძლებლობები არის უსაზღვრო და უნდა გააკეთონ მისი რეალიზაცია. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას , ორიენტირებული არიან მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე. სასურველია სკოლამ მეტი ყურადღება მიაქციოს დამატებით, სგანმანათლებლო-სააღმზრდელო მომსახურების დაგეგმვა-განხორციელებას, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ეს მომსახურებები ხელს შეუწყობს მათ უფრო მეტად შეძლონ მათი პოტენციალის გამოვლენა და რეალიზება. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, თანხვედრაშია საგნობრივ სტანდართან. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს გაკვეთილებზე დასწრება, შეჯამების შედეგად კი გაკვეთილის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა.შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, მასწავლებელთა განმავითარებელი უკუკავშირები მოსწავლის განვითარებისკენაა მიმართული. ინდივიდუალური სასწავლო გეგემაზე მუშაობის პროცესში აღიწერება, როგორ ხდება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებში ჩართულობა მოსწავლეებს საკუთარი პოტენციალის გამოვლენის საშუალებას აძლევს. როგორც ინტერვიუებზე აღინიშნა მცირერიცხოვანი კლასები მასწავლებლებს ხელს უწყობს განსაზღვრონ თითოეული მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ყოველივე ზემოთხსენებული ცხადყოფს, რომ სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად . **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა (კათედრების ოქმები, გაკვეთილზე ურთიერთდასწრებები) და საგნობრივ კათედრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები.იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინიციატივებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს.

**ინდიკატორს შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. ცალკეულ კათედრებთან გასაუბრების პროცესში იგრძნობოდა თანამშრომლებს შორის პოზიტიური და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული დამოკიდებულება, თანამშრომლობა და გუნდურობა.
გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ღიად, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი.
მათი ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია .
სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები კომპლექსურად, 10 პრიორიტეტული მიმართულებით, როგორიცაა: სკოლის ორგანიზაციული კულტურის განვითარება, უსაფრთხო გარემო, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება, მატერიალურ- ტექნიკური ბაზის სრულყოფა, ისტ-ის ინტეგრირება სასწავლო პროცესში, სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა, მშობელთა ჩართულობა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მასტიმულირებელი ბერკეტების შექმნა .ყოველივე ზემოთ ხსენებული უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N2 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დანართი N3 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;*
- *დანართი N46 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N49 მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრების მასალები;*
- *დანართი N50 გაკვეთილზე დასწრების ფორმები;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი განვითარების მექანიზმების შესახებ დებულება. აღნიშნულის თანახმად სკოლაში არის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ამასთანავე ახორციელებს კურიკულუმების მონიტორინგს. მონიტორინგი მოიცავს როგორც გაკვეთილებზე დასწრებას და დაკვირვებას წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმებით, ასევე მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებს, კათედრების წევრების ურთიერთდასწრებას და უკუკავშირს. მეოთხე და მეექვსე კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროექტში „ შეფასება განვითარებისთვის", რაც სკოლას ეხმარება მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენაში. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა ახორციელებს მონიტორინგს ასევე კათედრების საშუალებით, ისინი აქტიურად მუშაობენ პროცესების შეფასებაზე, ურთიერთდასწრებაზე და კონსტრუქციული უკუკავშირით ახდენენ სასწავლო პროცესის შეფასებასა და ანალიზს. მასწავლებლები და ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობენ მონიტორინგის სისტემის დახვეწაზე, მომავალი სასწავლო წლისთვის ისინი აპირებენ კიდევ უფრო გაიზარდოს საგნობრივი კათედრების როლი მონიტორინგის პროცესში და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. სკოლა ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო აქტივობას გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გზით. მათი მოსაზრებით პედაგოგების და დირექციის მიერ საგაკვეთილო პროცესის განხორციელების ეტაპზე დასწრება, პასუხობს მონიტორინგისა და შეფასების სამივე კომპონენტს, კონკრეტულად კი ანგარიშვალდებულების ნაწილში მენეჯმენტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გუნდს და მასწავლებელთა კორპუსს აძლევს საშუალებას, ისწავლოს გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და ანგაიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის დელეგირებით. მიღწევის ნაწილში კოლეგების ან ადმინისტრაციის დახმარებით შეუძლიათ დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მეტად დახმარება სჭირდებათ, მიიღონ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ხოლო მესამე, დაგეგმვის ნაწილი ხელს შეუწყობს კათედრების გაძლიერებას, სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. პედაგოგები კათედრების სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, მსჯელობენ მოსწავლეთა ნამუშევრების პრობლემებურ მხარეებზე და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი. თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მათთვის მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას და დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ამის ნათელი დადასტურებაა კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, დასწრების ფურცელი, რეფლექსია, უკუკავშირების ფორმები, რეკომენდაციები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი. მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა იგეგმება თემატური მატრიცისა და პედაგოგიკური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტზე დაფუძნებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგის შედეგად ხდება ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც წინაპირობას ქმნის სრულყოფილი და ობიექტური შეფასებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დანართი N46 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- დანართი N47 შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- დანართი N3 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;
- დანართი N17 კათედრის დებულება;
- *დანართი N50 გაკვეთილზე დასწრების მონაცემები;*
- *დანართი N28 სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი „სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში";*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
1. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელია, ასევე განმავითარებელი შეფასება, წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებებით მტკიცდება, რომ განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, განმავიტარებელი შეფასება კი ზომავს თითოეული მოსწავლის განვიტარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლა საგნობრივი კურიკულუმებიდან გამომდინარე მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეების ჰოლისტურ შეფასებას, რაც მოიაზრებს მათ შეფასებას მეტაკოგნიტურ, პიროვნულ, ფსიქიკურ, ფიზიკურ და სხვა უნარების გათვალისწინებით. შეფასება, რომ მრავალფეროვან წყაროებს ეყრდნობა ნათლად ადასტურებს კომპლექსური დავალებები, გამოკითხვები და დაკვირვებები, ასევე შემაჯამებელი დავალებები და დიაგნოსტიკური წერები. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. პედაგოგები საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების ანალიზისას და მოსწავლის შეფასებისას, მასზე დასაკვირვებლად ითვალისწინებენ განსხვავებულ კონტექსტებს. ეს შეიძლება იყოს საკლასო გარემო, აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, პიროვნული გამოცდილება და ინტერესები. სკოლა გამოკვეთს კომპლექსური ბუნების დავალებას, როგორც საშუალებას, მოსწავლის სხვადასხვა ტიპის აქტივობაში ჩართულობის შესაფასებლად მისი ინდივიდუალური, კოგნიტური უნარებისა და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მათი მოსწავლეების მიღწევებსა და პროდუქტიულობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა გარემო, ამიტომაც აფასებენ მათ მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით, კონკრეტულად კი შეფასება მოიცავს საგნობრივ კომპეტენციას, ეთიკური ნორმების დაცვას, საგაკვეთილო პროცესში პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას, მოტივაციას, ძალისხმევასა და აშ. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3.იმის გათვალისწინებით, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი, სკოლა მონაცემთა შეგროვების პროცესს ახორციელებს სკოლის მიზნისა და საჭიროების იდენტიფიცირებით. სკოლა მოსწავლის შეფასების უპირველეს მეთოდად სახავს მასწავლებლის დაკვირვებასა და ჩანაწერებს, რომელსაც იგი აკეთებს კომპლექსური დავალების მიმდინარეობისას, მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება ასევე შემაჯამებელი და დიაგნოსტიკური წერები. კომპლექსური დავალებები ყველა საგნობრივი მიმართულებებით ისეა აგებული, რომ ითვალისწინებს მოსწავლის თვითშეფასებასაც, რასაც მასწავლებლები იყენებენ, როგორც ერთ-ერთ მეთოდს მოსწავლეთა შეფასებისას. წარმოდგენილი დოკუმენტებით ასევე დასტურდება, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს: სასკოლო საზოგადოების დაკვირვება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტები, გამოცდილება, მასწავლებლების პირადი ჩანაწერები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება და აშ. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, რასაც ადასტურებს ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და შემაჯამებლების ანალიზები. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4.სკოლა მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი, აკადემიური მიღწევები, ინდივიდუალური საჭიროებები, სოაციალური ფაქტორები და აშ. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შემაჯამებლის ანალიზები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ შეიმუშავონ მოსწავლის ინდივიდუალური პროფილები, რომელშიც ყურადღება მიექცევა მათ აკადემიურ და ფუნქციური უნარების ანალიზს. აღნიშნული დაეხმარება სკოლას, შეფასება განახორციელოს უფრო მრავალფეროვანი ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N2 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დანართი N11 სასკოლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დებულების დამტკიცების შესახებ;*
- *დანართი N46 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დანართი N47 შემაჯამებელი დავალების ანალიზი;*
- *დანართი N48 კომპლექსური დავალება;*
- *დანართი N7 განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;*
- *დანართი N8 განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმების გადსინჯვისა და რევიზიის საწყისი ეტაპები, სასწავლო პროცესს, განხორციელებულ აქტივობებს, კომპლექსური დავალებების ეფექტურობას ამოწმებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და ადმინისტრაციის წევრები. ისინი ესწრებიან გაკვეთილებზე მასწავლებლებს, მიღებული შედეგების მიხედვით აკეთებენ სვოტ ანალიზს და ამის საფუძველზე შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას, სასწავლო წლის ბოლოს გაიცემა რეკომენდაციები და ცვლილებები მომდევნიო სასწავლო წლისთვის. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულებას აქვს ხედვა ,სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის მიერ გაანალიზებული მონაცემების საფუძვლზე შექმნას სარეკომენდაციო პაკეტი. მაგალითად კათედრის შეხვედრების პროცესში განხილული კომპლექსური დავალებები და მათი მიმდინარეობა. წარმატებული პრაქტიკა თუ ხარვეზი, რომელიც გამოვლინდება ბუნებვრივად გახდება საფუძველი კურიკულუმის მოდიფიცირების. კათედრის თავმჯდომარე დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას მიაწვდის ინფორმაციას შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ. თავის მხრივ დირექცია უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრებს, კათედრების ხელმძღვანელებთან -სადაც განიხილავენ სწავლის ხარისხს სტანდარტთან შესაბამისობის მიხედვით და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. მონაცემთა გაცვლისა და შეჯერების კვალდაკვალ შედგება სარეკომენდაციო პაკეტი, რომლის გაზიარებას სკოლის დირექცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, რასაც ადასტურებს კათედრის ოქმები, დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში. კურიკულუმების რევიზირებულ ვერსიაში მასწავლებლები, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გაითვალისწინებენ მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილ და რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, ეს გამოცდილება კი აისახება, როგორც კლასის, ასევე საფეხურის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

დონეზე. სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის შემუშავებასა და განხორციელებაში კოორდინირებულად მუშაობენ საგნობრივი კათედრები და დირექცია, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს და ცდილობენ ის გაითვალისწინონ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს. სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დასწრებები გაკვეთილებზე და კათედრების მუშაობა ადასტურებს, რომ მასწავლებლები აანალიზებენ და აფასებენ სასწავლო პროცესს და მიღებულ შედეგებს იყენებენ უფრო ეფექტური სასწავლო პროცესის დასაგეგმად. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასუბრების შედეგებით გამოიკვეთა სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ შექმნას მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გადამუშავებული კურიკულუმების ვერსიები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი წინარე გამოცდილების საფუძველზე შექმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დანართი N49 კოლეგებთან შეხვედრები;*
- *დანართი N46 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N48 კომპლექსური დავალება მათემატიკაში, მე-6 კლასი;*
- *დანართი N50 გაკვეთილზე დასწრების მონაცემები;*
- *დანართი N45 დაწყებითი კლასების კათედრის სხდომის ოქმი;*
- *დანართი 17 კათედრის დებულება;*

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.......................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................

.....................
თარიღი

### საბაზო საფეხური

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი **( საბაზო საფეხური)** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით *მუშაობენ* კურიკულუმების შექმნასა და მის დახვეწაზე.. კათედრის წევრები არიან აქტიურად ჩართულნი კურიკულუმის შემუშავების პროცესში,რომელიც ეყრდნობა მოსწავლეთა თვითშეფასებებს, კათედრის ანალიზებს. აქვთ წარმოდგენილი კურიკულუმები საგნობრივი მიმართულებით,თუმცა ამ ეტაპზე აგრძლებენ მუშაობას მისი დახვეწის ნაწილში. ინტერვიურების პროცესში ასევე იკვეთება,რომ კურიკუმების შედგენის დროს პედაგოგებს არ გაუჭირდებათ კომპლექსური დავალებისა და აქტივობების დიფერენცირების გათვალიწინება. **ინდიკატორი შესაბამება მოთხოვნებს.**
2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს , ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, მათ ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების ნაწილში, რომელიც მიმდინარეობს პედაგოგებისა და დირექციის აქტიური მონაწილეობით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია იქნება მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. ჩატარებული ღონისძიებები მიუთითებს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სკოლა ამზადებს ყველა კლასში კურიკულუმების ჩარჩოს და ეფექტურად წარმართავს კომპლექსურ დავალებებს, საგნობრივ კათედრებს ასევე შემუშავებული აქვთ კურიკულუმის ნიმუშები, რომელ კლასში, რა კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ 2023-2024 სასწავლო წელს.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობა, რის მიხედვითაც იგეგმება შემდეგ მიზნობრივი აქტივობები. ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში. სამომავლოდ მასწავლებლები გეგმავენ, რომ შეიმუშაონ კითხვარის ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმები, შექმნან ფოკუს-ჯგუფები და მიღებული შედეგების ანალიზი ასახონ სასკოლო კურიკულუმში. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. . ყველა საგნობრივი მიმართულებით აღნიშნულია, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან, კათედრები აქტიურად მუშაობენ ამ კუთხით, აფასებენ განვლილ სასწავლო პროცესს და გეგმავენ მიზნობრივ აქტივობებს, აზიარებენ კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალების იდეებს და სამომავლოდ აპირებენ ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს კურიკულუმების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებაში.ინდიკატორს ადასტურებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც, სადაც აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ზიარდება კათედრებზე, მასწავლებლებს შორის და მშობელთა კრებებზე.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დანართი N9 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დანართი N11 ბრძანება სასკოლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმის დებულების დამტკიცების შესახებ;
- დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;
- დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დანართი N7 ბრძანება მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- დანართი N51 საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე ყველა საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ყველა საგანში კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სიღრმისეული სწავლების უზრუნველყოფა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ძირითადი კონტექსტ-მაგალითების, სამიზნე ცნებების / ქვეცნებების, საფუძვლიანად შესწავლა და სხვადასხვა კონტექსტებში განხილვა, იკვეთება საგანთაშორისი კავშირები, წარმოდგენილია აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით კათედრა იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შერჩევისას ითვალისწინებენ: სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას. ასევე სკოლაში სისტემატიურად ხორციელდება პროექტები, იმართება ლიტერატურული საღამოები, რომლებიც სხვადასხვა კლასში სხვადასხვა თემატური ერთეულიდან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გამომდინარეობს.**ინდიკატორი შესაბამება მოთხოვნებს**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა საგნობრივი კურიკულუმები მიემართება 21-ე საუკუნის უნარებს, ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები,ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები) რაც მიანიშნებს იმას, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ მოსწავლის მიერ თემის სიღმისეულად გააზრების წინაპირობაა კონტექსტი,თემა და ფაქტობრივი ინფორმაცია, სწორედ ამიტომ აქცენტი კეთდება კომპლექსური დავალებების შექმნაზე; ინტერვიუს პროცესმა გამოკვეთა, რომ პროექტულ დავალებებთან ერთად კომპლექსური ბუნების დავალება მიიჩნევა უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნის საშუალებად და 6 კომპონენტური უნარის დასამუშავებლად. ასევე სკოლაში ხორციელდება პროექტები ,კონფერენციები, პრეზენტაციები, ,რომელთა წარდგენა ხდება საზოგადოების წინაშე, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. მოსწავლეებს უვითარდებათ ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზის, განსხვავებული აზრის მოსმენის, შემოქმედებითობის, თვითშეფასების, თავდაჯერებულობისუნარი. **ინდიკატორი შესაბამება მოთხოვნებს**

3. **საბაზო საფეხურზე** წარმოდგენილ კურიკულუმებში და მასალებში ნათლად იკვეთება დიფერენცირებული მიდგომები. კათედრები შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები .სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა რომ კათედრები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს, მოსწავლეები თვითონ ირჩევენ დავალებების ვარიანტებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. მასწავლებლებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით,რომელსაც შუალედური სადიაგნოსტიკო ტესტებით ადგენენ, ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები და ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას . ასევე, 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; **ინდიკატორი შესაბამება მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

4. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ყველა საგნობრივი მიმართილებით ხორციელდება ესგ მიხედვით და ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. სკოლა განმსაზღვრელი შეფასებისთვის იყენებს წინასწარ გაწერილ შეფასების რუბრიკებს, რომელიც მორგებულია საგნობრივ სტანდარტს/გრძელვადიან მიზნებს ,სამიზნე ცნებებს და საფეხურებრივ შედეგებს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი თვიშეფასების მიხედვით მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით , გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია- ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სექტემბრისთვის გეგმავს შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. სკოლას ასევე აქვს კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების გამოცდილება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, განმავითარებელი შეფასების ფორმად საბაზო საფეხურზე 7-9 კლასები ,გამოიყენება SOLO ტაქსონომია. SOLO ტაქსონომიით ხდებოდა ასევე მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შეფასება დონეების მიხედვით. სკოლა განმსაზღვრელი შეფასებისთვის იყენებს წინასწარ გაწერილ შეფასების რუბრიკებს,რომელიც მორგებულია საგნობრივ სტანდარტს/გრძელვადიან მიზნებ-სამიზნე ცნებებს და საფეხურებრივ შედეგებს. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ შეიქმნილი აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თითოეული თემის ფარგლებში.**ინდიკატორი შესაბამება მოთხოვნებს**

5. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. კათედრები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმებს შეიმუშავებენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის დონის, კათედრის ანალიზების, მეთოდოლოგიის საშუალებით. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ. სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მიითითებს იმ გარემობაზე, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

**ინდიკატორი შესაბამება მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- *დანართი N9 ( ერთწლიანი სამოქმედო გეგმა);*
- *დანართი N17 - კათედრის ოქმები, შემაჯამებელის ანალიზი;*
- *დანართი N2 (სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23);*
- *დანართი N51 საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დანართი ინკლუზიური განათლების კონცეფცია;*
- *დანართი N44 სკოლის ფეისბუქ გვერდი;*
- *რესურსი N7- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;*
- *რესურსი N8 - განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად. იმისთვის რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესზე დაფუძნებული, სკოლა საბაზო საფეხურის სტანდარტს ეყრდნობა და მისი ინდიკატორების მისაღწევად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს სხვადასხვა საგანში. ხოლო კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, კომლექსური დავალებების იდეები, ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი უნარის გაღვივებასა და განვითარებას. რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი ნაბიჯების მიხედვით იძიებენ ინფორმაციას , აანალიზებენ შესწავლილ მასალას , ქმნიან ახალ პროდუქტს , ჭრიან პრობლემებს ყოფა - ცხოვრებიდან, აკეთებენ ანალოგიას, აღწერენ ნაცნობ მოვლენას, და სხვა რაც მათ სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას განაპირობებს . ეს პროცესები ეხმარება მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობების, აღმოჩენების საფუძველზე, ეს კი დასტურდება იმით, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სასწავლო პროექტებში, სასკოლო ფესტივალებში, კონფერენციებში, საკლუბო მუშაობაში. აქტივობები რომელსაც კომპლექსური დავალებები მოაიზრებს ეხმარება მათ მოსწავლეებს განუვითაროს გაანალიზების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების უნარები. *ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.*

2. რადგანაც საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, კურიკულუმი აგებულია „სპირალურად“,სადაც თემები დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ, თანდათან ღრმავდება და ითვალისწინებს წინარე ცოდნას.ამ მიმართულებით სკოლას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისად აქვს გამოკვეთილი საბაზო საფეხურის თითოეული კლასისთვის შექმნისი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც მოსწავლეებში იწვევენ ინტერესს და საშუალებას აძლევს ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია ეს კი ცოდნის კონსტრუირების ტიპიური მაგალითია. ასევე ხორციელდება კომპლექსური დავალებების ანალიზი რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენოს კონსტრუქტივიზმის პრინციპები.
სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და მასზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის დადგენა. ამისათვის მასწავლებელი იყენებენ მრავაფეროვან ტესტებს, შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებს. ასევე აქტუალურია კოგნიტური სქემების გამოყენება სასწავლო პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში ხაზი გაესვა იმას რომ მოსწავლეები დიდი ხალისით ერთვებიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათგან მოითხოვს პრობლემის გადაჭრის უნარებს ანალოგიებზე დაყრდნობით და ნაცნობი კონტექსების უზრუნველყოფით. *ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში რომელიც წარმოადგინეს მასწავლებელებმა ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი აქვთ პროექტები, აქტივობები და კომპლექსური დავალებები რომლებიც საშუალებას მისცემთ აქცენტი გაკეთდეს სწავლის-სწავლებაზე. ეს პროცესი ორ კომპონენტს მოიცავს ემოციურსა და გონებრივს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გამოკვეთეს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის და საკუთარი მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობის შესახებ. კომპლექსური დავალების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, გამოკვეთილი მისაღწევი მიზანი ანუ პროდუქტი და ეტაპებად დროში გაწერილი აქტივობები მოსწავლეს უბიძგებს დასახოს მისი შესრულების სტრატეგიები და თავად შეაფასოს იგი, ან მიიღოს უკუკავშირი მოსწავლის ან თანატოლისგან. კეთებით სწავლის მოდელის გამოყენებით შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი: ამოხსნას ამოცანა ალგორითმის გამოყენებით, შექმნას მოდელები; დაამზადოს საინფორმაციო ბუკლეტი, პოსტერები, დაწეროს ესე, ექსპერიმენტისა და დაკვირვების საფუძველზე სტატიის მომზადება. *ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.*

4. საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება პროექტები, აქტივობები და კომპლექსური დავალებები რომლებიც საშუალებას მისცემთ სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის მოსწავლე სწავლობს ფაქტობრივ მასალას და იყენებს ახალი პროდუქტის შესაქმნელად. შექმნის პროცესში კი ახდენს ნასწავლი საკითხის სხვადასხვა ტიპის ტრანსფერს. საუბრისას მასწავლებლებმა აჩვენეს, სწორი ხედვა ამ მიმართულებით და დიდი გამოცდილება იმისა, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, აქცენტი გაკეთდეს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კურიკულუმებში სკოლამ წარმოადგინა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები საგნების მიხედვით, როგორც მთავარი რესურსი და აგრეთვე სხვადასხვა ტიპის რესურსი: ტაბულები, ატლასი, პოსტერი, ელ.ლინკები, მოსწავლეთა მიერ მოძიებული მულტიმედია რესურსები, ვირტუალური ლაბორატორია, ვიდეო გაკვეთილები-ტელესკოლა. დეკლარატიული სახის ინფორმაცია მიწოდებულია მთავარი თუ დამატებითი რესურსით, დამატებით რესურსად ძირითადათ გამოყენებულია ვიდეო მასალა, განხორციელებული კომპლექსური დავალებების პროდუქტები და აშ.
*ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.*

5. მასწავლებლებმა ინტერვიურებისას ხაზი გაუსვეს თემატური დაგეგმვისას კომპლექსური დავალებების უპირატესობას, რომლებიც გათვალსიწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. სწორედ ის ასპექტები, რომელიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშულებას იძლევა. რადგან , კომპლექსური ტიპის დავალებები ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, ცოდნის ორგანიზებაზე, რომლის დროსაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მოსწავლეებს ინფორმაცია და მასალა მიეწოდება ეტაპობრივი შინაარსობრივი თანმიმდევრობით. ხოლო ყოველი მომდევნო ნაწილი ორგანულ კავშირშია წინასთან, რაც განაპირობებს ურთიერთდაკავშირების საშუალებას. პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურზე აქტიურად იყენებენ გაკვეთილების ინტეგრირებულად ჩატარების პრაქტიკას. მომავალი სასწავლო წლისთვის კომპლექსური დავალებები და პროექტები იძლევა იმის საფუძველს რომ 2023 – 2024 სასწავლო წელს სასწავლო პროცესის წარმათვისას საბაზო საფეხურის პედაგოგები მოახდენენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთადაკვშირებას.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N2 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დანართი N3 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;*
- *დანართი N51 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N17 კათედრის ოქმები, შემაჯამებლის ანალიზები;*
- *დანართი N41 განხორციელებული კომპლექსური დავალება;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმების ლინკი;*
- *ინკლუზიური განათლების კონცეფცია;*
- *დანართი N5 კურიკულუმების ჩარჩო საგნების მიხედვით;*
- *დანართი N7 განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;*
- *დანართი N 8 განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.*

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ საგნობრივი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, თემები და საკითხები. კომპლექსური დავალებების განხორცილების პროცესში მოსწავლეს უხდება, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით ისეთი დავალებების შესრულება, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, მაგალითად მათემატიკაში კომპლექსური დავალების განხორციელებისას მოსწავლეს უწევს რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი და დასაბუთება, რაც სამივე ცნების მოდელირება, კანონზომიერება, ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში ეხმარება. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილ უცხო ენის კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი სკითხები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო სოციალურ განვითარებისკენ. საგნის კონტექსტის გათვალისწინებით მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებში უნდა აღწერონ დავალებების განხორციელებისას წამოჭრილი სირთულეები , საკუთარი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ , ემოციები და გრძნობები , რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. საბაზო საფეხურზე განხორციელებული პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების და ურთიერთობის უნარების განვითარებას.ინტერვიუს განმავლობაში პედაგოგებმა განაცხადეს, რომ მოსწავლეებს მოსწონთ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ამისათვის კი ისინი ცდილობენ შეძლებისდაგვარად განახორციელონ სოციალური პროექტები. ემოციური ინტელექტის განვითარებისთვის კი იყენებენ ჯგუფურ სამუშაოებს, პროექტებს, კლუბებს, სასწავლო ექსკურსიებს, კომპლექსურ დავალებებს. გამოყოფენ კომპლექსური დავალების პროცესში ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად დასმულ შეკითხვებს. შეკითხვებით პედაგოგები მოსწავლეებს უბიძგებენ თვითცნობიერებისკენ, რათა მათ შეძლონ, საკუთარი ემოციებების, ძლიერი და სუსტი მხარეების შემეცნება. ამასთან ერთად უვითარდებათ თვითრეგულაცია და მართავენ საკუთარ ემოციებს. ეჩვევიან ერთმანეთის აზრის მიმღებლობას და ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს. ყველა საგნობრივი მიმართულებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, პრობლემური საკითხები, შესასრულებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტ მაგალითები მორგებულია მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარების დონეს და ხელს უწყობს მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ემსახურება როგორც საგნობრივი საკითხების შემოწმებას, ასვე აფასებს მის უნარებს, პიროვნულ თვისებებს, სოციალურ უნარებს, დამოკიდებულებებს და გამჭოლ კომპეტენციებს. დანართის სახით წარმოდგენილია სასწავლო პროცესში გამოყენებული სასწავლო აქტივობები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი, რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შეფასების სისტემა ორინტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებით ირკვევა მასწავლებლები ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, მაგალითად შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებს, რათა მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ადეკვატური თვითშეფასება და დაინახონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები.სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს. სწავლა - სწავლების პროცესი ეფუძნება ცოდნის კონსტრუირებას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ დაცულია შეფასების ძირითადი პრინციპები. მასწავლებელმა ინტერვიუზე ასევე აღნიშნეს, რომ ისინი შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ. შეფასება ვალიდურია - შესაბამისობაშია მიზნებთან. როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა წინასწარ იცის ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

4. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რაც სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებულია. სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში სასწავლო პროცესის შემოწმება. ამ ეტაპზე წარმოდგენილი აქვთ შეფასების რუბრიკები რაც მიუთითებს იმაზე, რომ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, ვალიდური , სამართლიანი და სანდო.სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობისთვის, რომლებიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მიღწევებს, უნარებს, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძელზე. შესაბამისად სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური.**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

5. გასაუბრების პროცესში და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლაში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევევაში ეძლევა უკუკავშირი.**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

6. სკოლაში არანაკლებ სამი წლის ვადით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაარქივებულია და ინახება: ატესტატების წიგნი, ბრძანების წიგნი, პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი. სკოლა, რომ უზრუნველყოფს მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას ამას ადასტურებს ასევე საქმისწარმოების ინსტუქცია. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N39 სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და პროექტები;*
- *დანართი N3 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დანართი N49 კოლეგების შეხვედრები;*
- *დანართი N47 შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;*
- *კურიკულუმები ხელოვნებაში;*
- *მე-9 კლასი კურიკულუმი მუსიკა;*
- *დანართი N51 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კომპლექსური დავალება მათემატიკაში „ხის სიმაღლის დადგენა“;*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
5. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილი მისია და ხედვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, შეფასების სისტემა, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირება და სადამრიგებლო პროგრამები უზრუნველყოფს სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. მნიშვნელოვანია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: ინკლუზიური განათლების კონცეფცია, კონკრეტული მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და აღნიშნულ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, რაც ასევე ცხადყოფს სკოლის მზრუნველ და მხარდამჭერ დამოკიდებულებას სსსმ მოსწავლეთა მიმართ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები , მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზები, მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების რეფლექსიები მიუთითებს, რომ სკოლა ზრუნავს ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას. განხორციელებული სასკოლო პროექტებიც ასაევე ადასტურებს დაწესებულების მხარდაჭერას მოსწავლეების მიმართ, ისინი გრძნობენ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისგან, რომ მათი უნარები და შესაძლებლობები არის უსაზღვრო და უნდა გააკეთონ მისი რეალიზაცია.
სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას , ორიენტირებული არიან მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, თანხვედრაშია საგნობრივ სტანდართან. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს გაკვეთილებზე დასწრება, შეჯამების შედეგად კი გაკვეთილის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, მასწავლებელთა განმავითარებელი უკუკავშირები მოსწავლის განვითარებისკენაა მიმართული. ინდივიდუალური სასწავლო გეგემაზე მუშაობის პროცესში აღიწერება, როგორ ხდება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებში ჩართულობა მოსწავლეებს საკუთარი პოტენციალის გამოვლენის საშუალებას აძლევს. როგორც ინტერვიუებზე აღინიშნა მცირერიცხოვანი კლასები მასწავლებლებს ხელს უწყობს განსაზღვრონ თითოეული მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ყოველივე ზემოთხსენებული ცხადყოფს, რომ სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად . **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა (კათედრების ოქმები, გაკვეთილზე ურთიერთდასწრებები) და საგნობრივ კათედრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები.იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინიციატივებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორს შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. სკოლაში შექმნილია პოზიტიური კლიმატი, თანამშრომლობითი და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. ამის მტკიცებულებას წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება ( საათობრივი ბადე, მასწავლებელთა განაწილება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ა.შ.), სკოლის სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა, კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა , სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა სტრატეგიების დანერგვა. ჩანს, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების შერჩევა, აქტივობების დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. გასაუბრებაზე ასევე გამოიკვეთა,რომ მოსწავლეებს თამამად შეუძლიათ ნებისმიერი მათთვის ძნელად აღსაქმელი თუ გაუგებარი საკითხის გასარკვევად მიმართოს ნებისმიერ მასწავლებელს და მიიღოს შესაბამისი დახმარება . **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N2 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დანართი N3 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;*
- *დანართი N51 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N49 კოლეგების შეხვედრები;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დანართი 16 გაკვეთილზე დასწრების მონაცემები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. .სკოლას ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი განვითარების მექანიზმების შესახებ დებულება. აღნიშნულის თანახმად სკოლაში არის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ამასთანავე ახორციელებს კურიკულუმების მონიტორინგს. მონიტორინგი მოიცავს როგორც გაკვეთილებზე დასწრებას და დაკვირვებას წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმებით, ასევე მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებს, კათედრების წევრების ურთიერთდასწრებას და უკუკავშირს. . სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით გაწერილია ყველა ის პროცედურა, რომლითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმის შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებსა და არსებულ გამოცდილებას. შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გააკეთებენ. სკოლაში არსებობს ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სასწავლო პროცესების ხარვეზების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შედეგი.
**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. სკოლა ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო აქტივობას გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გზით. მათი მოსაზრებით პედაგოგების და დირექციის მიერ საგაკვეთილო პროცესის განხორციელების ეტაპზე დასწრება, პასუხობს მონიტორინგისა და შეფასების სამივე კომპონენტს, კონკრეტულად კი ანგარიშვალდებულების ნაწილში მენეჯმენტის გუნდს და მასწავლებელთა კორპუსს აძლევს საშუალებას, ისწავლოს წარსული გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და ანგაიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის განაწილების დაგეგმვა. მიღწევის ნაწილში კოლეგების ან ადმინისტრაციის დახმარებით შეუძლიათ დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მეტად დახმარება სჭირდებათ, მიიღონ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ხოლო მესამე, დაგეგმვის ნაწილი ხელს შეუწყობს კათედრების გამლიერებას, სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. პედაგოგები კათედრების სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, მსჯელობენ მოსწავლეთა ნამუშევრების პრობლემებურ მხარეებზე და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი.

თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მათთვის მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას და დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ამის ნათელი დადასტურებაა კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, დასწრების ფურცელი, რეფლექსია, უკუკავშირების ფორმები, რეკომენდაციები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი. მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა იგეგმება თემატური მატრიცისა და პედაგოგიკური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტზე დაფუძნებით.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგის შედეგად ხდება ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც წინაპირობას ქმნის სრულყოფილი და ობიექტური შეფასებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *დანართი N51 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N52 შემაჯამებელი გაკვეთილის ანალიზი;*
- *დანართი N16 გაკვეთილზე დასწრების მონაცემები;*
- *დანართი N11 „სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმის დებულების დამტკიცების შესახებ";*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ ჩართულობას მონაცემთა შეგროვების პროცესში, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი წყაროების არსებობას. კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში, მასწავლებლების მიერ გაკეთებული მონიშვნები მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებისთვის, მონაცემთა შეგროვების ერთ-ერთი წყაროა. ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების, შეფასების ვალიდურობისთვის სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგალითად მოსწავლეების ურთიერთშეფასებისგან, მასწავლებლებისგან, მშობლებისგან, დამრიგებლებისგან მოწოდებულ მონაცემებს მოსწავლეების ინტერესების, საჭიროებების, უნარ-ჩვევების შესახებ და აშ. შეგვიძლია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დავადასტუროთ, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები. სკოლა იყენებს ასევე დასწრებისა და ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირის ფორმას მოსწავლეებისაგან, მათ მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, ადასტურებს, რომ სკოლა ეყრდნობა შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. პედაგოგები საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების ანალიზისას და მოსწავლის შეფასებისას, მასზე დასაკვირვებლად ითვალისწინებენ განსხვავებულ კონტექსტებს. ეს შეიძლება იყოს საკლასო გარემო, აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, პიროვნული გამოცდილება და ინტერესები. სკოლა გამოკვეთს კომპლექსური ბუნების დავალებას, როგორც საშუალებას, მოსწავლის სხვადასხვა ტიპის აქტივობაში ჩართულობის შესაფასებლად მისი ინდივიდუალური, კოგნიტური უნარებისა და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მათი მოსწავლეების მიღწევებსა და პროდუქტიულობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა გარემო, ამიტომაც აფასებენ მათ მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით, კონკრეტულად კი შეფასება მოიცავს საგნობრივ კომპეტენციას, ეთიკური ნორმების დაცვას, საგაკვეთილო პროცესში პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას, მოტივაციას, ძალისხმევასა და აშ.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. .იმის გათვალისწინებით, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი, სკოლა მონაცემთა შეგროვების პროცესს ახორციელებს სკოლის მიზნისა და საჭიროების იდენტიფიცირებით. სკოლა მოსწავლის შეფასების უპირველეს მეთოდად სახავს მასწავლებლის დაკვირვებასა და ჩანაწერებს, რომელსაც იგი აკეთებს კომპლექსური დავალების მიმდინარეობისას, მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება ასევე შემაჯამებელი და დიაგნოსტიკური წერები. კომპლექსური დავალებები ყველა საგნობრივი მიმართულებებით ისეა აგებული, რომ ითვალისწინებს მოსწავლის თვითშეფასებასაც, რასაც მასწავლებლები იყენებენ, როგორც ერთ-ერთ მეთოდს მოსწავლეთა შეფასებისას. წარმოდგენილი დოკუმენტებით ასევე დასტურდება, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს: სასკოლო საზოგადოების დაკვირვება, გამოკითხვა,

ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტები, გამოცდილება, მასწავლებლების პირადი ჩანაწერები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება და აშ. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, რასაც ადასტურებს ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და შემაჯამებლების ანალიზები. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. .სკოლა მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი, აკადემიური მიღწევები, ინდივიდუალური საჭიროებები, სოაციალური ფაქტორები და აშ. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ შეიმუშავონ მოსწავლის ინდივიდუალური პროფილები, რომელშიც ყურადღება მიექცევა მათ აკადემიურ და ფუნქციური უნარების ანალიზს. აღნიშნული დაეხმარება სკოლას, შეფასება განახორციელოს უფრო მრავალფეროვანი ფაქტორის გათვალისწინებით. აღსანიშნავია ასევე შეფასების რუბრიკებზე კათედრების ერთობლივი მუშაობა, აზრთა/გამოცდილებათა გაზიარება, თანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს სკოლას შეფასება განახორციელოს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N51 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *მასწავლებელთა რეფლექსიები;*
- *დანართი N49 კოლეგების შეხვედრები;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.*
- *დანართი N16 გაკვეთილზე დასწრების მონაცემები;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- *საბაზო საფეხური, კურიკულუმები ხელოვნებაში;~*
- *კურიკულუმი, მუსიკა, მე-9 კლასი;~*
- *საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მუსიკაში, საბაზო საფეხური.*
- *დანართი N2 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დანართი N11 სასკოლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დებულების დამტკიცების შესახებ;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## **2.4** კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. . სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და სამოქმედო წლიური გეგმა მკაფიოდ ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც წარმოადგენს შეთავაზებათა რეკომენდაციებს, რასაც სკოლა გაითვალისწინებს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკუმულების შემუშავებისას, ვინაიდან მიმდინარე კურიკულუმით მუშაობამ ნათლად აჩვენა, რა იყო მასწავლებლების მუშაობისას მათი წარმატებისა და წინააღმდეგობების წარმოქმნის მიზეზები. შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებების დამუშავებაზე(გრძელვადიანი სასწავლომიზნებზე ორინტირება ). მათ აქვთ გამოცდილება სწავლების თითოეულ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს , სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში ამოღებული ინფორმაციის საფუძველზე. სკოლა მუშაობს საჭიროებათა პაკეტის შემუშავებაზე, რომელიც იქნება მთავარი დასაყრდენი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2.სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.სამომავლოდ ამ კუთხით აპირებს დაგეგმოს კონკრეტული მონიტორინგის გეგმა (პაკეტი), რომლის ფარგლებში გაეცნობიან სხვადასხვა სასწავლო მასალათა ეფექტიანობას და ვალიდობის მონაცემებს,მასწავლებლის დაგეგმილი და რეალიზირიბული პროცესების რეფლექსიებს. წლის განმავლობაში მონიტორინგის პროცესში შეგროვებული მონაცემების გაანალიზებით მოხდება პრობლემების, გამოწვევების გამოკვეთა გამოვლენა, რეკომენდაციების შემუშავება. შემუშავებული რეკომენდაციებისა და კურიკულუმის გადასინჯვის საფუძველზე კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

წლის გამოცდილება. პროცესები არის დაწყებული, ამას ადასტურებს მასწავლებელთა ურთიერთდასწრებები და გამოცდილების გაზიარება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის შეფასების შედეგად უკეთესად დაიგეგმოს და წარიმართოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები. სკოლა მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გეგმავს რევიზიის ნაწილში აქცენტი გააკეთოს შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტორებზე: როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები? როგორ გაუმჯობესდა ან რატომ ვერ გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები წინა წელს? როგორი იყო მშობლებთან კომუნიკაცია და რა ფაქტორები უწყობდა ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას? როგორ იმუშავეს კათედრებმა, რისი გაუმჯობესება იქნებოდა შესაძლებელი, როგორი იყო დირექციის ჩართულობა ციკლურ პროცესში, რა განმაპირობებელი ან ხელის შემშლელი ფაქტები გამოვლინდა. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N51 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *მასწავლებელთა რეფლექსიები;*
- *დანართი N49 კოლეგების შეხვედრები;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.*
- *დანართი 16 გაკვეთილზე დასწრების მონაცემები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..........................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................

.....................
თარიღი

## საშუალო

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი ( საშუალო საფეხური) | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესები და შეხედულებები არის გათვალისწინებული. აზრთა გაზიარება, ინტერესებსა და შეხედულებებზე მსჯელობა მიმდინარეობს კათედრებზე, მშობელთა კრებებზე და საჭიროების შემთხვევაში სოციალური ქსელის მეშვეობით. მასწავლებლები, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს ითვალისწინებენ გასული წლის გამოცდილებასაც, მშობლებსა და მოსწავლეებთან ატარებენ კვლევებს კითხვარების საშუალებით, მიღებულ შედეგებს კი იყენებენ კურიკულუმის შემუშავების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

დროს. მეთოდოლოგიის მიხედვით, როგორც საგნობრივი ჯგუფის ექსპერტები აღნიშნავენ, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრები განიხილავენ საგნის პედაგოგების მიერ შემუშავებულ ახალ საგნობრივ კურიკულუმებს წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ მოდიფიცირებას. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. პედაგოგები სასკოლო კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ინფორმაციას აწვდიან მშობლებს პირისპირი შეხვედრებითა და მშობლის ზარათებით. კათედრების შეხვედრებზე, რომელიც იმართება, როგორც ონლაინ თიმსის პლატფორმაზე, ასევე პირისპირ, მასწავლებლები გასული წლის სამუშაო პროცესს რეფლექსიებითა და მიგნებებით აჯამებენ, შემდეგ კი ანალიზის საფუძველზე მიღებულ შედეგებს გამოიყენებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების დასაგეგმად.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს , ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, მათ ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების ნაწილში, რომელიც მიმდინარეობს მე-10-11 კლასებში,აქ არის მცირედი ცვლილება საგან მუსიკისა/ ხელოვნებში საგანი ისწავლება პროექტული სწავლებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია იქნება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. ჩატარებული ღონისძიებები მიუთითებს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ჩართულობას

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.

3. . ყველა საგნობრივი მიმართულება აღნიშნავს, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ კათედრები, კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, თანხმდებიან რომელ კომპლექსურ დავალებებს გამოიყენებენ დასამუშავებელი თემის ფარგლებში, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. ინდიკატორს ადასტურებს, როგორც კურიკულუმების შემუშავებული ჩარჩოები, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის, კათედრის, ადმინისტრაციის როლი შემუშავების პროცესში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. ყველა საგნობრივი მიმართულებით აღნიშნულია, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან, კათედრები აქტიურად მუშაობენ ამ კუთხით, აფასებენ განვლილ სასწავლო პროცესს და გეგმავენ მიზნობრივ აქტივობებს, აზიარებენ კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალების იდეებს და სამომავლოდ აპირებენ ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს კურიკულუმების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებაში. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლები ატარებენ მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს და აცნობენ კომპლექსური დავალებების იდეებს.ინდიკატორს ადასტურებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც, სადაც აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ზიარდება კათედრებზე, მასწავლებლებს შორის და მშობელთა კრებებზე.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N9 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *დანართი N11 ბრძანება სასკოლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმის დებულების დამტკიცების შესახებ;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგამ;*
- *დანართი N7 ბრძანება მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები აჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კერძოდ, სავალდებულო თემები საგნობრივ სტანდართთან შესაბამისობაშია, კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, შუალედური სასწავლო მიზნები ძირითადად მუშავდება გრიფირებული სახელმძღვანელოს და დამატებითი რესურსების მიხედვით. სკოლაში სისტემატიურად ხორციელდება პროექტები, იმართება ლიტერატურული საღამოები, რომლებიც სხვადასხვა კლასში სხვადასხვა თემატური ერთეულიდან გამომდინარეობს. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

2. საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ და მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისაკენ. საშუალო საფეხურის წლიური კურიკულუმები განსაზღვრავს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. კერძოდ, განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, ცნებები კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც თავისი ბუნებით ავტომატურად მოითხოვს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვთარებას. შერჩეულია გრიფირებული სახელმძღვანელოს რესურსები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა კოლეგიის მზაობა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად.

**ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სასწავლო პროცესში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და კომპლექსური დავალებების მათზე მორგებულად ადაპტირება. კურიკულუმებში ასახულია მოსწავლეზე მორგებული მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას. მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლაში ფუნქციონირებს მულტიდისციპლინური გუნდი. სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე . გასაუბრების დროს გამოიკვეთა მათი გუნდური მუშაობის პრინციპი. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

4. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ესგ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მიხედვით და ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით , გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. თუმცა მათ აქვთ კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების გამოცდილება.

**ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ და ცდილობენ, რომ კურიკულუმები, ინდ/გეგმები და სხვა საჭირო გამოწვევები მოსწავლეთა საჭიროებას მოარგონ.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N2 - 2022-2023 ს/წ. სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დანართი N3 - 2022-2023 ს/წ. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;*
- *დანართი N19 - საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N17 - კათედრის ოქმები;*
- *შემაჯამებელის ანალიზი დანართი;*
- *განხორციელებული კომპლექსური დავალება საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;*
- *დანართი N53 საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დანართი N9 ( ერთწლიანი სამოქმედო გეგმა);*
- *დანართი N19( საგნობრივი კურიკულუმების ლინკი);*
- *დანართი -ინკლუზიური განათლების კონცეფცია;*
- *დანართი N44 სკოლის ფეისბუქ გვერდი;*
- *დანართი N38 ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *დანართი N7- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა რესურსი;*
- *დანართი N8 - განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესზე დაფუძნებული, სკოლა საშუალო საფეხურის სტანდარტს ეყრდნობა და მისი ინდიკატორების მისაღწევად იყენებს კომპლექსურ დავალებებს, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი ნაბიჯების მიხედვით იძიებენ ინფორმაციას , აანალიზებენ შესწავლილ მასალას , ქმნიან ახალ პროდუქტს , ჭრიან პრობლემებს ყოფა - ცხოვრებიდან, აკეთებენ ანალოგიას, აღწერენ ნაცნობ მოვლენას, რაც მათ სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას განაპირობებს რაც დასტურდება იმით რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სასწავლო პროექტებში, კონფერენციებში, საკლუბო მუშაობაში. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა გამოკვეთეს , რომ აქტივობები რომელსაც კომპლექსური დავალებები მოაიზრებს ეხმარება მათ მოსწავლეებს განუვითაროს გაანალიზების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების უნარები. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს რომ საშუალო საფეხურზე არ არის ისეთი მაღალი ხარისხის ჩართულობა როგორც დაწყებით საფეხურზე, თუმცა კი მუშაობენ სხვადასხვა მეთოდით ამ ფაქტის გამოსასწორებლად. აქვთ სამომავლო გეგმები საინტერესო აქტივობების სახით.

საშუალო საფეხურზე მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ, სასწავლო პროექტებში, კონფერენციებში, სასწავლო პროექტებში, ოლიმპიადებში, ხვადასხვა კონკურსებში, სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტებში. აქტიურად მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა.

***ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.***

2. რადგანაც საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, ამ მიმართულებით სკოლას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისად აქვს გამოკვეთილი საშუალო საფეხურის მეათე კლასისთვის შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც მოსწავლეებში იწვევენ ინტერესს და საშუალებას აძლევს ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია .ეს კი ცოდნის კონსტრუირების ტიპიური მაგალითია. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და მასზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის დაშენება; ასევე აქტუალურია კოგნიტური სქემების გამოყენება სასწავლო პროცესში. სტემ საგნის პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ახსენეს რომ მოსწავლეები მეტი ინტერესით ერთვებიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათგან მოითხოვს პრობლემის გადაჭრის უნარებს ანალოგიებზე დაყრდნობით და ნაცნობი კონტექსების უზრუნველყოფით. სკოლას აქვს პრაქტიკა ცნობილი ადამიანების სკოლაში მოწვევის სხვა-საგნობრივ დისციპლინებში; სამომავლოდ იგეგმება -ამ პრაქტიკის გაზიარება;

***ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.***

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში რომელიც წარმოადგინეს მასწავლებელებმა ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი აქვთ , კომპლექსური დავალებები რომლებიც საშუალებას მისცემთ აქცენტი გაკეთდეს სწავლის-სწავლებაზე. ეს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

პროცესი ორ კომპონენტს მოიცავს ემოციურსა და გონებრივს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გამოკვეთეს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის და საკუთარი მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობის შესახებ. კომპლექსური დავალების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, გამოკვეთილი მისაღწევი მიზანი ანუ პროდუქტი და ეტაპებად დროში გაწერილი აქტივობები მოსწავლეს უბიძგებს დასახოს მისი შესრულების სტრატეგიები და თავად შეაფასოს იგი, ან მიიღოს უკუკავშირი მოსწავლის ან თანატოლისგან. კეთებით სწავლის მოდელის გამოყენებით შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი: ამოხსნას ამოცანა ალგორითმის გამოყენებით, შექმნას მოდელი და აშ.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება პროექტები, აქტივობები და კომპლექსური დავალებები რომლებიც საშუალებას მისცემთ სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის მოსწავლე სწავლობს ფაქტობრივ მასალას და იყენებს ახალი პროდუქტის შესაქმნელად. შექმნის პროცესში კი ახდენს ნასწავლი საკითხის სხვადასხვა ტიპის ტრანსფერს.

საუბრისას მასწავლებლებმა აჩვენეს, სწორი ხედვა ამ მიმართულებით და დიდი გამოცდილება იმისა, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, აქცენტი გაკეთდეს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კურიკულუმებში სკოლამ წარმოადგინა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები საგნების მიხედვით, როგორც მთავარი რესურსი და აგრეთვე სხვადასხვა ტიპის რესურსი: ტაბულები, ატლასი, პოსტერი, ელ.ლინკები, მოსწავლეთა მიერ მოძიებული მულტიმედია რესურსები, ვირტუალური ლაბორატორია, ვიდეო გაკვეთილები- ტელესკოლა. დეკლარატიული სახის ინფორმაცია მიწოდებულია მთავარი თუ დამატებითი რესურსით, დამატებით რესურსად ძირითადათ გამოყენებულია ვიდეო მასალა, განხორციელებული კომპლექსური დავალებების პროდუქტები და აშ.

***ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.***

5. მასწავლებლებმა ინტერვიურებისას ხაზი გაუსვეს თემატური დაგეგმვისას კომპლექსური დავალებების უპირატესობას, რომლებიც გათვალსიწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. სწორედ ის ასპექტები, რომელიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშულებას იძლევა. რადგან , კომპლექსური ტიპის დავალებები ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, ცოდნის ორგანიზებაზე. რომლის დროსაც მოსწავლეებს ინფორმაცია და მასალა მიეწოდება ეტაპობრივი შინაარსობრივი თანმიმდევრობით. ხოლო ყოველი მომდევნო ნაწილი ორგანულ კავშირშია წინასთან, რაც განაპირობებს ურთიერთდაკავშირების საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

პედაგოგემა ინტერვიუს პროცესში აღნიშნა რომ საშუალო საფეხურზე აქტიურად იყენებენ გაკვეთილების ინტეგრირებულად ჩატარების პრაქტიკას. მომავალი სასწავლო წლისთვის კომპლექსური დავალებები და პროექტები იძლევა იმის საფუძველს რომ 2023 – 2024 სასწავლო წელს სასწავლო პროცესის წარმათვისას საშუალო საფეხურის პედაგოგები მოახდენენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთადაკვშირებას.

*ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დანართი N39 სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და პროექტები;
- დანართი N3 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;
- დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;
- დანართი N49 კოლეგების შეხვედრები;
- დანართი N53 საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმების ლინკი;
- ინკლუზიური განათლების კონცეფცია;
- დანართი N5 კურიკულუმების ჩარჩო საგნების მიხედვით;
- დანართი N7 განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- დანართი N 8 განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3 შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებას, საგნობრივი საკითხების დამუშავებას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, ასევე, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია. საშუალო საფეხურის მასწავლებლები არჩევენ სასწავლო თემებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში რეკომენდირებული თემების გათვალისწინებით, თემიდან გამომდინარე, გეგმავენ კომპლექსურ დავალებებს თითოეული კლასისთვის. ყველა საგნობრივი მიმართულებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესი. შესაბამისად, ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლები სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ საშუალო საფეხურის მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს, საკითხებს თემის შიგნით მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი პიროვნული განვითარების თვალსაზრისით წარმართავენ. საშუალო საფეხურის კურიკულუმები და სასკოლო პროექტები/ღონისძიებები: „პროექტი არა ძალადობას“, ღონისძიებები: „დედის დღე“, „დედამიწის დღე“, „დედაენის დღე“, „თოჯინების თეატრი“, „ეკოსკოლა“ და აშ.ეს ღონისძიებები და პროექტები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ემსახურება მოსწავლეების ფსიქო-სოციალურ ზრდას. კათედრების ოქმებიც ადასტურებს აღნიშნულ ინდიკატორს, სადაც საუბარია იმ სამომავლო ღონისძიებებზე, რომელსაც ამზადებს სკოლა მოსწავლეებისთვის. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს , რომლის ფარგლებშც ქმნიან პროდუქტებს მოსწავლეები და იძენენ სოციალურ უნარ-ჩვევებს.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. საშუალო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ჰოლისტურია. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერი და მეტად ეფექტური სისტემის დანერგვა. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვს სოლო ტაქსონომიები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების შეფასების დროს.სწავლის პროცესში გათვალისწინებულია სწავლების პარადიგმა, ჰოლისტური მიდგომა, შესაბამისად მიღებული ცოდნის შეფასებისასაც გათვალისწინებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4. შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე , მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებს ასევე აცნობენ მშობლებსაც. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანი დავალებებისთვის: პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის და აშ. საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა შეესაბამება სწავლის შედეგს. მოსწავლეები წინასწარ ინფორმირებული არიან, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებსაც რთავენ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში, ასევე, იყენებენ თვითშეფასებისა და თანაშეფასების რუბრიკებს.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს კათედრას .



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი განსაზღვრული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში 2022-2023 სასწავლო წლის მიხედვით, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ნამუშევრების ანალიზი. ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ რეკომენდაციები.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

6. კათედრების მიერ მოსწავლეთა ნამუშევარი მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით.მატერიალური ჟურნალები შენახულია სპეციალურ საცავში. სკოლა ამჟამად აწარმოებს ექტრონულ ჟურნალს. შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციები ინახება მოსწავლის პირად საქმეებში. მოსწავლეთა შეფასების შესახებ სემესტრული და წლიური ინფორმაცია დაცულია და გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში არის მოსწავლის მიერ კლასის, საფეხურის დაძლევა/არდაძლევის ბრძანებები, აქედან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N39 სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და პროექტები;*
- *დანართი N3 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დანართი N49 კოლეგების შეხვედრები;*
- *დანართი N53 საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N47 შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;*
- *კურიკულუმი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, კომპლექსური დავალებები მე-12 კლასი;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

- *კომპლექსური დავალება მათემატიკაში.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილი მისია და ხედვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, შეფასების სისტემა, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირება და სადამრიგებლო პროგრამები უზრუნველყოფს სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. მნიშვნელოვანია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: ინკლუზიური განათლების კონცეფცია, კონკრეტული მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და აღნიშნულ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, რაც ასევე ცხადყოფს სკოლის მზრუნველ და მხარდამჭერ დამოკიდებულებას სსსმ მოსწავლეთა მიმართ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები , მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზები, მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების რეფლექსიები მიუთითებს, რომ სკოლა ზრუნავს ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას. განხორციელებული სასკოლო პროექტებიც ასაევე ადასტურებს დაწესებულების მხარდაჭერას მოსწავლეების მიმართ, ისინი გრძნობენ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისგან, რომ მათი უნარები და შესაძლებლობები არის უსაზღვრო და უნდა გააკეთონ მისი რეალიზაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას , ორიენტირებული არიან მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, თანხვედრაშია საგნობრივ სტანდართან. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს გაკვეთილებზე დასწრება, შეჯამების შედეგად კი გაკვეთილის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, მასწავლებელთა განმავითარებელი უკუკავშირები მოსწავლის განვითარებისკენაა მიმართული. ინდივიდუალური სასწავლო გეგემაზე მუშაობის პროცესში აღიწერება, როგორ ხდება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებში ჩართულობა მოსწავლეებს საკუთარი პოტენციალის გამოვლენის საშუალებას აძლევს. როგორც ინტერვიუებზე აღინიშნა მცირერიცხოვანი კლასები მასწავლებლებს ხელს უწყობს განსაზღვრონ თითოეული მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ყოველივე ზემოთხსენებული ცხადყოფს, რომ სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად .**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა (კათედრების ოქმები, გაკვეთილზე ურთიერთდასწრებები) და საგნობრივ კათედრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები.იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინიციატივებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს.

**ინდიკატორს შეესაბამება მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4.სკოლაში შექმნილია პოზიტიური კლიმატი, თანამშრომლობითი და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. ამის მტკიცებულებას წარმოადგენს ეროვნული სასწ ავლო გეგმის მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება ( საათობრივი ბადე, მასწავლებელთა განაწილება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ა.შ.), სკოლის სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა, კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა , სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა სტრატეგიების დანერგვა. ჩანს, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების შერჩევა, აქტივობების დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. გასაუბრებაზე ასევე გამოიკვეთა,რომ მოსწავლეებს თამამად შეუძლიათ ნებისმიერი მათთვის ძნელად აღსაქმელი თუ გაუგებარი საკითხის გასარკვევად მიმართოს ნებისმიერ მასწავლებელს და მიიღოს შესაბამისი დახმარება .**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N2 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დანართი N3 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;*
- *დანართი N55.გაკვეთილზე დასწრების ფორმები;*
- *დანართიN49 მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები;*
- *დანართი N53 საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N53 კურიკულუმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რასაც ადასტურებს საგნობრივი კათედრების მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვასა და მიღებული შედეგების გაანალიზებაზე. კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მიღებულ შედეგებს და კურიკულუმებიოს სისუსტეებს, რაც აღმოაჩინეს სწავლების პროცესში. მასწავლებლები ერთმანეთს ეესწრებიან გაკვეთილებზე, აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს, თიმსის ჯგუფებში ატარებენ შეხვედრებს და აკეთებენ საერთო დასკვნებს დაგეგმილი და განხორციელებული კურიკულუმების ძლიერ და სუსტ მხარეებზე. შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებენ. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სასწავლო პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. შესაბამისად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ .სკოლაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლაში ხორციელდება დაკვირვება, თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას. ვინაიდან სასკოლო საზოგადოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და შეფასება, ამიტომ თითოეული მოსწავლის წინაშე არსებული გამოწვევები საჭიროებს განხილვასა და დახმარებას. ახალი სასწავლო წლიდან განისაზღვრება ჯგუფი, რომელიც მოახდნს კურიკულუმების გადახედვას, თუ რამდენადაა შესაბამისობაში ესგ-სთან, გაანალიზდება ხარვეზები და გაიცემა რეკომენდაციები.

კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესში ისე, რომ იგი დახმარებასა და მხარდაჭერაზე იყოს ორიენტირებული და სასურველი შედეგები მიიღოს. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია მის შემუშავებაში მონაწილე პირების ფუნქციები, რაც მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. აღნიშნულ ინდიკატორს ადასტურებს კათედრების მუშაობა ამ კუთხით, ისინი ურთიერთდასწრების, ერთობლივი განხილვის, შედეგების გაანალიზებით ქმნიან პირობებს, რომ მონიტორინგი და შეფასება იყოს მხარდამჭერი და არა კრიტიკის ობიეტი.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.

3. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი. მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა იგეგმება თემატური მატრიცისა და პედაგოგიკური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტზე დაფუძნებით. ამჟამად სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. კათედრული მუშაობის ფარგლებში, ისმენენ, განიხილავენ სწავლა-სწავლების საკითხებს, მიღებულ შედეგებს, იძლევიან უკუკავშირს, ახდენენ შედეგების ანალიზს. ამ კუთხით კათედრები მუშაობენ და პედსაბჭოს წარუდგენენ მუშაობის ამსახველ ოქმებს. კათედრების მიერ განხორციელებულ მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახულია კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრულია ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სამომავლოდ სკოლა შედეგების ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დანართი N55 გაკვეთილზე დასწრების მონაცემები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- დანართი N49 კოლეგების შეხვედრები;
- საშუალო საფეხური კურიკულუმის ნიმუში ხელოვნებაში;
- *დანართი N53 კურიკულუმები;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურზე გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება და ეყრდნობა მრავალფეროვან დავალებებსა და მოსწავლეთა უნარ-ჩვევების შეფასებასა  თუ განვითარებას. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, განმავიტარებელი შეფასება კი ადგენს თითოეული  მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლა საგნობრივი კურიკულუმებიდან გამომდინარე მრავალფეროვან წყაროებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეების ჰოლისტურ შეფასებას, რაც გულისხმობს მათ შეფასებას, მეტაკოგნიტურ, პიროვნულ, ფსიქიკურ, ფიზიკურ თუ სხვა უნარების გათვალისწინებით. შეფასება, რომ მრავალფეროვან წყაროებს ეყრდნობა ნათლად ადასტურებს კომპლექსური დავალებები, გამოკითხვები და დაკვირვებები, აგრეთვე შემაჯამებელი და დიაგნოსტიკური წერები. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.

2.კათედრები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ფორმას (დიაგნოსტიკა, გასასვლელი ბილეთები, სოლო ტაქსონომია, შეფასების რუბრიკები), რაც საშუალებას აძლევთ დაინახონ შედეგი და დაგეგმონ საჭირო მიდგომები აღმოჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, კონკრეტულად, ითვალისწინებენ რა გაუჭირდათ მოსწავლეებს და როგორ შეიძლება საკითხის გამარტივება ისე, რომ საგაკვეთილო პროცესი არ იყოს დამთრგუნველი და სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართოს ხალისით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებითაც. საგაკვეთილო პროცესი წარიმართება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებას. შეფასება ეხმარება მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც გააცნობიერონ სასწავლო
პროცესში გამოვლენილი სუსტი და ძლიერი მხარეები.ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.

3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც წარმოადგინა სკოლამ საშუალებას იძლევა გავიგოთ მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. სკოლა მონაცემთა შეგროვების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

პროცესს ახორციელებს სკოლის მიზნისა და საჭიროების იდენტიფიცირებით. სკოლა მოსწავლის შეფასების უპირველეს მეთოდად სახავს მასწავლებლის დაკვირვებასა და ჩანაწერებს, რომელსაც იგი აკეთებს კომპლექსური დავალების მიმდინარეობისას, მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება ასევე შემაჯამებელი და დიაგნოსტიკური წერები. კომპლექსური დავალებები ყველა საგნობრივი მიმართულებებით ისეა აგებული, რომ ითვალისწინებს მოსწავლის თვითშეფასებასაც, რასაც მასწავლებლები იყენებენ, როგორც ერთ-ერთ მეთოდს მოსწავლეთა შეფასებისას. წარმოდგენილი დოკუმენტებით ასევე დასტურდება, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს: სასკოლო საზოგადოების დაკვირვება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტები, გამოცდილება, მასწავლებლების პირადი ჩანაწერები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება და ა.შ. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, რასაც ადასტურებს ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და შემაჯამებლების ანალიზები. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი, მოვლენა, სიტუაცია. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შეფასებისას ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი, აკადემიური მიღწევები, ინდივიდუალური საჭიროებები, სოციალური ფაქტორები და ა.შ. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ შეიმუშაონ მოსწავლის ინდივიდუალური პროფილები, რომელშიც ყურადღება მიექცევა მათ აკადემიურ და ფუნქციური უნარების ანალიზს. აღნიშნული დაეხმარება სკოლას, შეფასება განახორციელოს უფრო მრავალფეროვანი ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- *დანართი N2 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დანართი N11 სასკოლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დებულების დამტკიცების შესახებ;*
- *დანართი N53 საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *დანართი N19 საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დანართი N47 შემაჯამებელი დავალების ანალიზი;*
- *დანართი N55. გაკვეთილზე დასწრების ფორმები;*
- *დანართი N7 განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;*
- *დანართი N8 განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;*
- *კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმების გადასინჯვისა და რევიზიის საწყისი ეტაპები, სასწავლო პროცესს, განხორციელებულ აქტივობებს, კომპლექსური დავალებების ეფექტურობას ამოწმებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და ადმინისტრაციის წევრები. ისინი ესწრებიან გაკვეთილებზე მასწავლებლებს, მიღებული შედეგების მიხედვით აკეთებენ სვოტ ანალიზს და ამის საფუძველზე შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას, სასწავლო წლის ბოლოს გაიცემა რეკომენდაციები და ცვლილებები მომდევნიო სასწავლო წლისთვის. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულებას აქვს ხედვა ,სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის მიერ გაანალიზებული მონაცემების საფუძვლზე შექმნას სარეკომენდაციო პაკეტი. მაგალითად კათედრის შეხვედრების პროცესში განხილული კომპლექსური დავალებები და მათი მიმდინარეობა. წარმატებული პრაქტიკა თუ ხარვეზი, რომელიც გამოვლინდება ბუნებვრივად გახდება საფუძველი კურიკულუმის მოდიფიცირების. კათედრის თავმჯდომარე დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას მიაწვდის ინფორმაციას შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ. თავის მხრივ დირექცია უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრებს, კათედრების ხელმძღვანელებთან -სადაც განიხილავენ სწავლის ხარისხს სტანდარტთან შესაბამისობის მიხედვით და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. მონაცემთა გაცვლისა და შეჯერების კვალდაკვალ შედგება სარეკომენდაციო პაკეტი, რომლის გაზიარებას სკოლის დირექცია უზრუნველყოფს.

**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

2. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, რასაც ადასტურებს კათედრის ოქმები, დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში. კურიკულუმების რევიზირებულ ვერსიაში მასწავლებლები, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გაითვალისწინებენ მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილ და რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, ეს გამოცდილება კი აისახება, როგორც კლასის, ასევე საფეხურის დონეზე. სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის შემუშავებასა და განხორციელებაში კოორდინირებულად მუშაობენ საგნობრივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კათედრები და დირექცია, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს და ცდილობენ ის გაითვალისწინონ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს. სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დასწრებები გაკვეთილებზე და კათედრების მუშაობა ადასტურებს, რომ მასწავლებლები აანალიზებენ და აფასებენ სასწავლო პროცესს და მიღებულ შედეგებს იყენებენ უფრო ეფექტური სასწავლო პროცესის დასაგეგმად. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასუბრების შედეგებით გამოიკვეთა სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ შექმნას მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გადამუშავებული კურიკულუმების ვერსიები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი წინარე გამოცდილების საფუძველზე შექმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დანართი N55.გაკვეთილზე დასწრების ფორმები;*
- *დანართიN49 მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები;*
- *დანართი N53 საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *დანართი N53 კურიკულუმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

30.08.2023
თარიღი







ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------